

## ნების ნაკლი ქართულ სამართალში

სოფიო კიკოშვილი\*

### 1. შესავალი

სამოქალაქო სამართალში მოქმედი კერძო ავტონომიის პრინციპიდან და კონსტიტუციით აღიარებული პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებიდან გამომდინარე, კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ნების გამოვლენის თავისუფლებას.

ამ ღირებულების დაცვა ბევრადაა დამოკიდებული სამოქალაქო კოდექსის რეგულირებასა და სასამართლო პრაქტიკაში მის სწორად გამოყენებაზე.

სახელმწიფოში მიმდინარე სამოქალაქო სამართლებრივი რეფორმის ფონზე კიდევ უფრო მეტ აქტუალობას იძენს ნების ნაკლის საკითხის განხილვა და შესწავლა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსში მისი შემდგომი გამოსწორების მიზნით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შემუშავება დაემთხვა ისტორიულად საკმაოდ მძიმე პერიოდს. თანამედროვე სამოქალაქო კოდექსის შემუშავებისათვის საჭირო გამოცდილებისა და სიღრმისეული ცოდნის არარსებობამ, რაც გამომწვეული იყო გარკვეული დროის განმავლობაში ჩაკეტილ სამყაროში არსებობით და ევროპის ქვეყნების სამართლებრივი მიღწევების გაცნობის შეუძლებლობით,<sup>1</sup> გამოიწვია მთელი რიგი ხარვეზებისა საქართველოს სამოქალაქო კოდექსში. როგორც ჩანს, მუხლები ავტომატურად გადმოითარგმნა სხვადასხვა ქვეყნის სამოქალაქო კოდექსებიდან, რამაც გამოიწვია ზედმეტი ნორმების შემუშავება და მათი სტრუქტურულად არასწორი მოწესრიგება. აღნიშნული ხარვეზის სრულყოფილად გამოსწორება არ მომხდარა არც სასამართლო პრაქტიკის მიერ.

ნაშრომის მიზანია ქართულ სამართალში ნების ნაკლის ინსტიტუტის შესწავლა, მისი წარმომავლობისა და არსის გააზრება, პრობლემური მუხლების გაანალიზება, რაც მიღწეული იქნება საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ნების ნაკლის ამსახველი მუხლების შედარებითი და სისტემური ანალიზით იმ ქვეყნების კანონმდებლობასთან, რომლებთან მსგავსებითაც გამოირჩევიან ისინი.

ნების ნაკლის განხილვამდე საჭიროა ნების გამოვლენის შინაარსის გააზრება, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საკითხის შემდგომი კვლევისათვის. ნების გამოვლენა თავის თავში მოიცავს ორ ელემენტს – ნებას და ნების გამოხატვას, რომელთა ფორმირებისა და გამოხატვის დროს არსებული ხარვეზებიც იწვევს ნების ნაკლს. შემდეგ მოხდება ნების ნაკლის არსის განხილვა და მისი კლასიფიკაცია, მომდევნო თავები კი მიეძღვნება კლასიფიკაციის მიხედვით ცალკეული სახის ნების ნაკლის ანალიზს.

### 2. ნება და ნების ნაკლი

ნების ნაკლზე საუბრის დაწყებამდე, პირველ რიგში, უნდა მოხდეს ნების გამოვლენის შინაარსის გაანალიზება იმ კომპონენტების შესწავლის მიზნით, რომელთა ხარვეზი იწვევს ნების ნაკლს.

\* თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრი.

<sup>1</sup> *ჭანტურია, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, სამართალი, თბილისი, 2000, 33-35.*

## 2.1 ნების გამოვლენის ინსტიტუტი

ნების გამოვლენის მეშვეობით მხარეები მიზნად ისახავენ გარკვეული სამართლებრივი შედეგის მიღწევას. ისინი არა მხოლოდ სამართლებრივ შედეგებზე თანხმდებიან, არამედ ნებსებზეც, რომლებსაც უნდა დაემორჩილონ ამ სამართლებრივი შედეგის მისაღწევად. ამიტომაც ამბობენ, რომ გარიგებას მხარეებისათვის კანონის ძალა აქვს და მისი დარღვევა იწვევს მხარის სამართლებრივ პასუხისმგებლობას.<sup>2</sup>

ნება, რომლითაც პირი კისრულობს სახელშეკრულებო თვითბოჭვას, აუცილებელია, იყოს ნამდვილი; პირი თავისუფალია, დადოს გარიგება და, ამდენად, მის მიერ გამოვლენილი ნება უნდა შეესაბამებოდეს მის შინაგან ნებას, რომლის ჩამოყალიბებაც მოხდა დამოუკიდებლად, ყოველგვარი მართლსაწინააღმდეგო ფაქტორების ზემოქმედების გარეშე. ნების თავისუფლების პრინციპი პირს აძლევს უფლებას, თავისუფლად მიიღოს სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილეობის გადაწყვეტილება. ამ პრინციპის დაცვას არსებითი მნიშვნელობა აქვს კერძო-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთათვის.<sup>3</sup> მას შემდეგ, რაც პირი გადაწყვეტს აღნიშნულ ურთიერთობაში ჩაბმას, იგი ავლენს ნებას, რომლის მეშვეობითაც იურიდიულ მნიშვნელობას სძენს ხელშეკრულების დადების საკუთარ გადაწყვეტილებას.<sup>4</sup>

გერმანული სამართლის მიხედვით, ნების გამოვლენა მოიცავს ორ ელემენტს – შინაგან (სუბიექტურ) ნებას და ნების (ობიექტურ) გამოხატვას.

ნების (გადაწყვეტილების მიღების) თავისუფლებასთან ერთად ნების გამოვლენისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ნების სწორად ფორმირებასა და გამოხატვას. ამ კომპონენტების ხარვეზი იწვევს ნების ნაკლს. ნების ნაკლი სხვადასხვა ფორმით გამოიხატება, თუმცა შესაძლებელია მათი დაჯგუფება აღნიშნული კრიტერიუმების მიხედვით, ამდენად, აუცილებელია თითოეული ამ კატეგორიის ცალ-ცალკე შესწავლა, ნების ნაკლის არსში უკეთ ჩანვდომის მიზნით.

## 2.2 ნების გამოვლენის კომპონენტები

გადაწყვეტილების მიღების თავისუფლების საფუძველზე პირები მონაწილეობენ სხვადასხვა კერძოსამართლებრივ ურთიერთობაში. გერმანული დოქტრინის თანახმად, პირი სამართლებრივ ურთიერთობაში ჩასაბმელად ნების გამოვლენისათვის გადის გარკვეულ ფსიქოლოგიურ ეტაპებს, რომელთა უნაკლოდ გავლაც ნების ნამდვილობის წინაპირობაა.<sup>5</sup>

ფსიქოლოგიური კატეგორიების მიხედვით, ერთმანეთისაგან გამოყოფენ შემდეგ ეტაპებს:

*პირველ ეტაპზე ხდება* პირის მიერ გარკვეული წარმოდგენის ჩამოყალიბება, თუ რისთვის ავლენს იგი ნებას. კერძოდ, მხარეს წარმოეშობა გარკვეული მოთხოვნილება, რომლის დასაკმაყოფილებლად იგი იწყებს საშუალებების ძიებას. ნების ამგვარი საფუძველი, ანუ ის, რისთვისაც პირი დებს გარიგებას, სამართალში მოტივის სახელითაა ცნობილი, რომელსაც, როგორც წესი, ურთიერთობის ნამდვილობისათვის სამართლებრივი დატვირთვა არ აქვს, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში იგი, თავისი მნიშვნელობიდან და გარკვეული გარემოებებიდან გამომდინარე, იძენს სამართლებრივ მნიშვნელობას და შედის ნების შინაარსში;<sup>6</sup>

<sup>2</sup> ჭანტურია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, წიგნი მესამე, თბილისი, 2001, 89.

<sup>3</sup> *Larenz/Wolf*, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, 9. Auflage, Beck, München, 2004, 440.

<sup>4</sup> იხ. ქვემოთ, 8.

<sup>5</sup> *Pawlowski*, Allgemeiner Teil des BGB, Grundlehren des Bürgerlichen Rechts, 7. Auflage, Müller, Heidelberg, 2003, 272.

<sup>6</sup> იქვე.

მეორე ეტაპზე პირი ირჩევს მიზნის მიღწევის ხერხს. იგი შეარჩევს კონტრაპუნტს და ნების გამოვლენის საშუალებას, რომელიც მას დაეხმარება სასურველი შედეგის მიღწევაში. იგი საკუთარი ნების გამოვლენას იყენებს მიზნის მიღწევის იარაღად, რისთვისაც სჭირდება ნების უხარვეზო ფორმირება. პირი სწორად უნდა აფასებდეს გარემოებებს და ნების გამოვლენის სავარაუდო შედეგებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ხელშეკრულების შესრულებით მხარე მიიღებს სასურველისაგან განსხვავებულ შედეგს, რაც გარიგების საცილობის საფუძველი გახდება;<sup>7</sup>

მესამე ეტაპი არის ნების გამოვლენა (გამოხატვა). მას შემდეგ, რაც პირი შეარჩევს თავისი სურვილის მიღწევის საშუალებას, ანუ ჩამოაყალიბებს შინაგან ნებას, იგი გამოხატავს მას ნების მიმღებისათვის მისი გამხელის მიზნით, რითაც სამართლებრივ მნიშვნელობას ანიჭებს შინაგან ნებას და თავს იბოჭავს მისი სავალდებულობით. ნების გამოვლენის დროს არსებითია, რომ ზუსტად მოხდეს შინაგანად ფორმირებული ნების გადმოცემა, ანუ ნების გამოვლენა ობიექტურად აღქმადი იყოს ნების მიმღებისათვის,<sup>8</sup> რაც შემდგომში მხარეთა შეთანხმების მიღწევის წინაპირობაა.<sup>9</sup>

ხელშეკრულების დადება და შესრულება ხორციელდება მხარეთა თავისუფალი ნების საფუძველზე, მათთვის სასურველი სამართლებრივი შედეგის მიღწევის მიზნით. ნების გამოვლენა ნაკლული ხდება და, შესაბამისად, ხელშეკრულება მხარეთათვის სავალდებულო ძალას ვერ იძენს, თუ მხარეთა მიერ დასახული მიზანი და რეალური შედეგი ერთმანეთს არ ემთხვევა.<sup>10</sup>

## 2.2.1 ნება

მხარეს უნდა ჰქონდეს სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილეობის სურვილი. ეს სურვილი ყალიბდება შინაგანად და მისი იურიდიული მნიშვნელობით დატვირთვა ხდება მხოლოდ გამოვლენის შემდეგ, თუმცა თავად ნების ფორმირების ფაზას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება გარიგების ნამდვილობისათვის. ნების ნაკლის უკეთ გააზრებისათვის, პირველ რიგში, საჭიროა ნების შინაარსის შეცნობა.

გერმანული სამართლის დოქტრინაში განვითარებულია აზრი იმის თაობაზე, რომ შინაგანი ნება შედგება 3 ფსიქოლოგიური კომპონენტისაგან, ესენია:

### ა) მოქმედების ნება (*Handlungswille*)

მოქმედების ნება გულისხმობს პირის სურვილს, იმოქმედოს საკუთარი ნებიდან გამომდინარე. იგი მოიცავს, მაგალითად, გაცნობიერებულ საუბარს, მოძრაობას და ა.შ. მოქმედების ნება აღარ იქნება სახეზე, როცა პირი ძილში ან ჰიპნოზის ქვეშ მოქმედებს, ანუ მაშინ, როცა იგი ვერ აცნობიერებს საკუთარი ნების გამოხატვის მომენტს.<sup>11</sup> მოქმედების ნება ნების ერთ-ერთი არსებითი კომპონენტია, რომლის არარსებობა საერთოდ გამორიცხავს ნების არსებობას.

მოქმედების ნების ხარვეზისაგან განსხვავდება მოქმედება, რომელიც განხორციელებულია სხვის მიერ ფიზიკური იძულებით (*vis absoluta*), რომლის დროსაც ნება საერთოდ არ არსებობს.<sup>12</sup> მაგალითად, თუ პირს ფიზიკურად დაუჭერენ ხელს და ძალით მოაწვინებენ

<sup>7</sup> იქვე.

<sup>8</sup> იქვე.

<sup>9</sup> იქვე, 203.

<sup>10</sup> იქვე, 272.

<sup>11</sup> *Larenz/Wolf*, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, München, 2004, 436-437.

<sup>12</sup> იქვე, 437.

## სამაგისტრო ნაშრომები

დოკუმენტზე, აქ ნების ნაკლზე საუბარიც ზედმეტი იქნება, ვინაიდან ამგვარი ქმედება გამორიცხავს ნების გამოვლენას და, შესაბამისად, აზრს კარგავს იმის ნაკლზე მსჯელობა, რაც არ არსებობს.

სამოქალაქო სამართალში დამკვიდრებული ტერმინი „იძულება“ უნდა მოიცავდეს მხოლოდ მოქმედებას ფსიქიკური ზემოქმედების ქვეშ, როცა ნება მაინც სახეზეა, თუმცა იძულების გამო იგი ნაკლის მქონედ მიიჩნევა (*vis compulsiva*).<sup>13</sup>

ფსიქიკური იძულება სრულად არ გამორიცხავს მოქმედების ნების არსებობას. მაგალითად, თუ პირი ხელს აწერს დოკუმენტს მუქარის ზეგავლენით, მას არ სურს მოქმედება, მაგრამ მაინც გაცნობიერებულად ავლენს ნებას სურვილის საწინააღმდეგოდ. ამდენად, ასეთი ნაკლის არსებობისას ყურადღება უნდა გამახვილდეს ნების თავისუფლების არარსებობაზე, რაც იწვევს მოქმედების ნების ნაკლს.

### ბ) გამოვლენის ნება (*Erklärungswille*)

გამოვლენის ნების დროს პირს სურვილი აქვს, თავისი ნების გამოვლენით გახდეს სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე. ცხადია, სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილეობის სურვილი ყოველთვის მიმართულია სამართლებრივი შედეგის დადგომისაკენ, მაგრამ ამ ეტაპისათვის საკმარისია, მხარე აცნობიერებდეს, რომ ავლენს სამართლებრივი შინაარსის ნებას და არაა აუცილებელი, იგი მიმართული იყოს კონკრეტული სამართლებრივი შედეგის დადგომისაკენ.<sup>14</sup>

გერმანულ ლიტერატურაში მოყვანილია გამოვლენის ნების ნაკლის შემდეგი მაგალითი: პირი, რომელიც ზის აუქციონზე, ხელის აწევით მიესალმება მეგობარს და ამ დროს უნებურად გამოავლენს აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი ექსპონატის შეძენის ნებას. ამ შემთხვევაში პირს ჰქონდა მოქმედების ნება, მან გაცნობიერებულად აწია ხელი მეგობრის მისასალმებლად, თუმცა არ ჰქონია სურვილი, ამით გამოევიდნა სამართლებრივი შინაარსის ნება, კერძოდ, არ სურდა ნივთის შეძენა.<sup>15</sup>

### გ) გარიგების ნება (*Geschäftswille*)

გარიგების ნება სახეზეა მაშინ, როდესაც ნება მიმართულია კონკრეტული სამართლებრივი შედეგის დადგომისაკენ. პირს აქვს გაცნობიერებული მოქმედებით სამართლებრივ ურთიერთობაში ჩაბმის სურვილი და, ამავე დროს, იგი მიზნად ისახავს კონკრეტული სამართლებრივი შედეგის დადგომას. ნების ამ კომპონენტის ნაკლი სახეზეა, თუ, მაგალითად, კატალოგიდან კაბის შეკვეთის დროს პირს აერია შესაკვეთი ნივთის საიდენტიფიკაციო ნომერი და კაბის მაგივრად მიიღო ქურთუკი, ანუ არასასურველი კონკრეტული სამართლებრივი შედეგი.<sup>16</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ კონკრეტული სამართლებრივი შედეგი არ მოიაზრებს მხოლოდ სამართლებრივი თვალსაზრისით ზედმინევენით ზუსტად ჩამოყალიბებულ გარიგების ნებას. საკმარისია მხარის მიერ გარკვეულ გარემოებებზე ზოგადი წარმოდგენის შექმნაც, რომელიც გამოვლენის შემდეგ, კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე, აღქმადი იქნება ნების მიმღებლისათვის.<sup>17</sup>

<sup>13</sup> იქვე.

<sup>14</sup> იქვე.

<sup>15</sup> იქვე.

<sup>16</sup> იქვე.

<sup>17</sup> იქვე, 438.

## 2.2.2 გამოვლენა

ნების გამოვლენის შემადგენელი მეორე ელემენტია შინაგანი ნების გამოვლენა, გამოხატვა, რაც შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა ფორმით – გადმოცემით (წერილობით ან ზეპირად), კონკლუდენტური მოქმედებით, გარკვეულ შემთხვევებში დუმილითაც.<sup>18</sup>

ნების ნაკლულ გამოვლენაზე მსჯელობისას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება არა გამოხატვის ფორმას, არამედ შინაგანი ნების სწორად გადმოცემას, ვინაიდან სწორედ ნების გამოხატვის მეშვეობით ხდება მხარის შინაგანი ნება ობიექტურად აღქმადი ნების მიმღებისათვის.

შეთანხმების მისაღწევად აუცილებელია, მხარე სწორად აღიქვამდეს მეორე მხარის შინაგანი ნებას, რათა შეძლოს საკუთარი ნების მისადაგება ამ უკანასკნელისათვის. ეს კი შესაძლებელი გახდება მხოლოდ ნების სრულფასოვნად გამოვლენის შემთხვევაში. ამდენად, არსებითია, რომ ნება და მისი გამოხატვა ზუსტად შეესატყვისებოდეს ერთმანეთს, რათა ნების მიმღებს საშუალება ჰქონდეს, სწორად აღიქვას მხარის შინაგანი ნება.<sup>19</sup>

## 2.3 ნებისა და გამოვლენის ურთიერთმიმართება

ნების გამოხატვა მეორე მხარისათვის შინაგანი ნების გადაცემის საშუალება და, ამავე დროს, შინაგანი ნებისათვის სამართლებრივი ხასიათის მინიჭების შესაძლებლობაა, ორმხრივი გარიგების დროს კი მხარეთა შორის შეთანხმების მიღწევის წინაპირობა;<sup>20</sup> მეორე მხრივ, კერძო ავტონომიის პრინციპიდან და მხარის თავისუფალი განვითარების უფლებიდან გამომდინარე, კერძოსამართლებრივ ურთიერთობაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მხარის შინაგანი ნებას, რომელსაც ხარვეზის შემთხვევაში უპირისპირდება სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის მოთხოვნა. გარიგების ნამდვილობისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ნების და ნების გამოვლენის თანხვედრას. ნება და მისი გამოხატვის შედეგად გამოვლენილი ნება იდენტური უნდა იყოს, თუმცა, ცხადია, პრაქტიკაში უამრავი შემთხვევაა, როცა ეს ორი ელემენტი ერთმანეთს არ ემთხვევა.<sup>21</sup>

რა ხდება მაშინ, როცა პირის შინაგანი ნება არ ემთხვევა გამოვლენილს? ან გამოვლენილი ნების აღქმა ნების მიმღების მიერ მოხდა შინაგანი ნებისაგან განსხვავებულად? ან თუ მხარეს მცდარი წარმოდგენა აქვს მისი ნების შინაარსზე?

### 2.3.1 ნების თეორია (*Willenstheorie*)

მე-19 საუკუნეში გერმანიის სამოქალაქო კოდექსი განიცდიდა ნების თეორიის ზეგავლენას, რომელიც ემყარებოდა სავინის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ნების გამოვლენის ნამდვილობის საფუძველი პირის შინაგანი ნება იყო.<sup>22</sup>

თეორიის თანახმად, ნების გამოვლენა იყო უბრალო იარაღი, საშუალება პირის შინაგანი ნების გადმოსაცემად. ამდენად, ნება ყოველთვის უპირატესად მიიჩნეოდა და სამართლებრივ დატვირთვასაც მხოლოდ ის ატარებდა. შესაბამისად, ნების არასწორი გამოვლენის შედეგად

<sup>18</sup> იქვე, 439-441.

<sup>19</sup> Pawlowski, Allgemeiner Teil des BGB, Heidelberg, 2003, 203.

<sup>20</sup> იქვე, 203-204.

<sup>21</sup> Larenz/Wolf, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, München, 2004, 441.

<sup>22</sup> იქვე, 441, შემდგომი მითითებით: MunchKomm/Kramer, § 116, Rn. 4; Ermann/Brox, § 116, Rn. 1.

ძალას ინარჩუნებდა მხარის შინაგანი ნება, ნების გამოვლენა კი ბათილად მიიჩნეოდა მაშინ, როცა იგი სწორად არ გადმოსცემდა შინაგან ნებას.<sup>23</sup>

ორმხრივი ნების გამოვლენის დროს შეთანხმებისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭებოდა მხოლოდ შინაგან ნებათა თანხვედრას, მიუხედავად იმისა, თუ როგორ გამოავლენდნენ მხარეები მას. მთავარი იყო, მხარეთა შინაგანი წარმოდგენები ერთმანეთს დამთხვეოდა.<sup>24</sup>

ასეთი მიდგომა პრაქტიკულ წინააღმდეგობებს წააწყდა, იგი საფრთხის ქვეშ აყენებდა სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობას, საჭირო გახდა ნების მიმღების ინტერესების დაცვა.<sup>25</sup>

### **2.3.2. ნების გამოვლენის თეორია (*Erklärungstheorie*)**

ნების თეორიის სანინაღმდეგოდ, ნების გამოვლენის თეორია სამართლებრივი ურთიერთობის ნამდვილობისათვის უპირატესობას ანიჭებდა მხარეთა მიერ გამოვლენილ ნებას. მიუხედავად პირის შინაგანი სურვილისა, ნამდვილად ითვლებოდა ნება იმ შინაარსით, რომელიც მეორე მხარისათვის იყო აღქმადი. ამ შემთხვევაში ნებისა და მისი გამოვლენის ერთიანობას მნიშვნელობა აღარ ენიჭებოდა. აღნიშნულმა თეორიამ პრაქტიკაში წარმოშვა სირთულე – აღარ არსებობდა ნების სერიოზულობის ნაკლის გამო მისი გაბათილების ლოგიკური საფუძველი, ანუ ხუმრობით გამოვლენილი ნება ნამდვილად უნდა ჩათვლილიყო იმ შემთხვევაში, თუ მეორე მხარე ნამდვილად აღიქვამდა მას.<sup>26</sup>

ნების თეორიისაგან განსხვავებით, ნების გამოვლენის თეორია მხარეთა შეთანხმებისათვის საკმარისად თვლიდა ობიექტურად, გარეგნულად აღქმად ნებათა თანხვედრას, ანუ ნებათა თანხვედრა ხორციელდებოდა გამოვლენილი ნების შესაბამისად.<sup>27</sup>

ამ თეორიას საფუძვლად ედო უფრო პრაქტიკული მოსაზრებები, რომელნიც მიმართული იყო ნების მიმღების კეთილსინდისიერი ნდობისა და ინტერესების დაცვისაკენ და სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობისაკენ.<sup>28</sup>

### **2.3.3 ნამდვილობის თეორია (*Geltungstheorie*)**

აღნიშნული თეორია შუალედურია ზემოთ დასახელებული ორი თეორიის მიდგომას შორის. ნამდვილობის თეორიის თანახმად, ნების გამოვლენა არის არა შინაგანი ნების გამოხატვის გზა, არამედ მისთვის იურიდიული მნიშვნელობის მინიჭების საშუალება. იურიდიული მნიშვნელობა ენიჭება მხოლოდ გამოვლენილ ნებას. მარტო სურვილი არავითარ იურიდიულ შედეგს არ წარმოშობს. ამდენად, ნების გამოვლენის დროს პირი ადასტურებს თავისი ნების ნამდვილობას და ანიჭებს მას იურიდიულ ძალას. ნების გამოვლენა არა საკუთარი ნების გაცნობისა და გამჟღავნების, არამედ მისი სამართლებრივი ხასიათით დატვირთვის იარაღია. მეორე მხრივ, ნების გამოვლენა უნდა ესადაგებოდეს პირის შინაგან ნებას, როგორც სასურველი სამართლებრივი ურთიერთობის საფუძველს.<sup>29</sup>

ამდენად, იკვეთება ნების გამოვლენის ორი ფუნქცია: ერთი მხრივ, მისი მეშვეობით მხარეს შესაძლებლობა ეძლევა, სამართლებრივი დატვირთვა მიანიჭოს თავის შინაგან ნებას და მეორე

<sup>23</sup> *Larenz/Wolf*, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, München, 2004, 442.

<sup>24</sup> *Pawlowski*, Allgemeiner Teil des BGB, Heidelberg, 2003, 203.

<sup>25</sup> იქვე, 204.

<sup>26</sup> *Larenz/Wolf*, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, München, 2004, 442.

<sup>27</sup> *Pawlowski*, Allgemeiner Teil des BGB, Heidelberg, 2003, 204.

<sup>28</sup> იქვე.

<sup>29</sup> *Larenz/Wolf*, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, München, 2004, 443.

მხრივ, მას საშუალება აქვს, თავისი ნება გასაგები, აღქმადი გახადოს მეორე მხარისათვის. ნების გამოვლენის შინაარსიდან გამომდინარე, შესაძლებელი ხდება მსჯელობა, თუ რამდენად აღქმადი იყო ნება მეორე მხარისათვის, ან რამდენად შეესაბამებოდა იგი პირის შინაგან ნებას. ასეთი მიდგომა იძლევა როგორც ნების გამომვლენის, ისე ნების მიმღების კეთილსინდისიერი ინტერესების დაცვის შესაძლებლობას.<sup>30</sup>

ორმხრივი ნების გამოხატვის დროს არსებითია ასევე შეთანხმების მიღწევა გარიგების მხარეებს შორის. შეთანხმების შედეგად მხარეები ამთხვევენ საერთო ნებას, რომელზე თანხმობის გამოხატვის მეშვეობითაც სამართლებრივი ბუნებით ტვირთავენ შეთანხმებას.<sup>31</sup>

## 2.4 ნების ნაკლის არსი

კერძო ავტონომიის პრინციპის საფუძველზე პირები თავისუფალნი არიან, თავად მოაწესრიგონ მათ შორის არსებული კერძოსამართლებრივი ურთიერთობები. ამ ურთიერთობებს სამართლებრივი შედეგი მოჰყვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პირთა მიერ გამოვლენილი ნება მათი ნამდვილი ნების აბსოლუტურად შესაბამისი იქნება.

მხარის მიერ არასასურველი ნების გამოვლენით დავალდებულება ეწინააღმდეგება კონსტიტუციით მისთვის მინიჭებულ თავისუფალი განვითარების უფლებას. თუმცა კერძო ავტონომიის პრინციპის მოთხოვნა, რომ იურიდიული ძალა მიენიჭოს მხოლოდ მხარის მიერ გამოვლენილ ნამდვილ ნებას, აწყდება ნების მიმღების კანონიერი ნდობისა და ინტერესების დაცვის და ნების გამომვლენის საკუთარ ქმედებაზე პასუხისმგებლობის დაპირისპირების პრობლემას. ამდენად, ნების ნაკლის საკითხის მოგვარების დროს ხდება როგორც მხარის თავისუფალი განვითარების უფლების, ისე ნების მიმღების კანონიერი ნდობისა და მხარის პასუხისმგებლობის მომენტის გათვალისწინება, რის გამოც სამოქალაქო კოდექსი სხვადასხვა სახის ნების ნაკლს სხვადასხვაგვარ სამართლებრივ დაცვას სთავაზობს.<sup>32</sup>

პრაქტიკაში არსებობს უამრავი შემთხვევა, როდესაც ერთი მხრივ, პირი გაცნობიერებულიად ან გაუცნობიერებლად ავლენს თავისი შინაგანი ნებისაგან განსხვავებულ ნებას და, მეორე მხრივ, შესაძლოა, შინაგანი ნება უნაკლოდ იყოს გამოვლენილი, მაგრამ მის ნაკლს ნების ფორმირებისას წარმოშობილი ხარვეზები განაპირობებდეს. იმ შემთხვევაში, როცა ნების ფორმირებაში რაიმე ხარვეზია, ან თუ ნება და მისი გამოხატვა არაურთიერთმფარავია, სადავო ხდება მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების ნამდვილობა.<sup>33</sup>

ერთმანეთისაგან განსხვავდება ნების ნაკლული ფორმირება და ნების ნაკლული გამოვლენა.<sup>34</sup>

ნების ნაკლულ ფორმირებას იწვევს შინაგანი ნების არასწორი ფორმირება. პირს მცდარი წარმოდგენა აქვს იმ გარემოებებზე, რომელთა მეშვეობითაც იგი ვარაუდობს სასურველი შედეგის მიღწევას. ნების ფორმირების ნაკლი სუბიექტურ ხასიათს ატარებს.<sup>35</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ამგვარ ნების ნაკლს ასახავს მაგალითად შეცდომა შინაარსში.

ნების ნაკლულ გამოვლენას იწვევს ნების გამოხატვის დროს დაშვებული ხარვეზი. ამ შემთხვევაში პირი არასწორად გადმოსცემს სწორად ფორმირებულ ნამდვილ ნებას, რის გამოც ნების გამოხატვა და ნამდვილი ნება არ ემთხვევა ერთმანეთს და ნების გამოვლენა ნაკლული ხდება.<sup>36</sup>

<sup>30</sup> იქვე.

<sup>31</sup> Pawlowski, Allgemeiner Teil des BGB, Heidelberg, 2003, 204.

<sup>32</sup> Larenz/Wolf, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, München, 2004, 642-643.

<sup>33</sup> იქვე, 436-438.

<sup>34</sup> იქვე, 642-643.

<sup>35</sup> იქვე.

<sup>36</sup> იქვე, 655.

აღნიშნული სახის ნაკლი შეიძლება დაიყოს ორ ნაწილად:

- ნების ნაკლული გამოვლენა გაცნობიერებულად და
- ნების ნაკლული გამოვლენა გაუცნობიერებლად.<sup>37</sup>

გაცნობიერებულ ნაკლს ვხვდებით თვალთმაქცური (იგივე მოჩვენებითი) გარიგებისა და ნების არასერიოზულობის გამოვლენის დროს, როდესაც პირი აცნობიერებს არასასურველი ნების გამოვლენის მომენტს.<sup>38</sup>

გაუცნობიერებელი ნაკლი კი სახეზეა ნების შეცდომით გამოხატვისა და ნების არასწორი გადაცემის დროს, როდესაც პირი ვერ აცნობიერებს ნების ნაკლულ გამოვლენას, რადგან ვარაუდობს, რომ სწორად გამოავლინა იგი.<sup>39</sup>

სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს ასევე ისეთი სახის ნების ნაკლს, როცა ნების ფორმირებაც და გამოვლენაც „სწორად“ მოხდა, მაგრამ ნების ნაკლი გამოწვეულია ნების თავისუფლების პრინციპის ხელყოფით, რაც გამოიხატება ნების იძულებით ან გარემოებათა ბოროტად გამოყენების ზენოლით გამოვლენის შემთხვევაში. გერმანული სამართლის თანახმად, მოტივში შეცდომას არავითარი სამართლებრივი შედეგი არ მოსდევს, ამ წესიდან გამონაკლისია მოტყუებისა და იძულების მაგალითები, როდესაც მოტივის ნაკლის გამომწვევია გადაწყვეტილების მიღების თავისუფლების შელახვა.<sup>40</sup>

მოქმედების ნების ნაკლი საერთოდ გამორიცხავს მხარის მიერ რაიმე სამართლებრივი პასუხისმგებლობის აღებას.<sup>41</sup> (აღსანიშნავია, რომ იგი გვხვდება არა იძულების, არამედ ქმედების არაცნობიერად განხორციელების შემთხვევაში: ძილში, ჰიპნოზის ქვეშ და ა.შ.).

ნების ნაკლს შედეგად მოსდევს ნების გამოვლენის ბათილობა. ნების გამომვლენსა და ნების მიმღებს შორის ვერ მიიღწევა შეთანხმება, რაც აუცილებელია გარიგების ნამდვილობისათვის. თუკი მხარეებმა თავიანთ ნებათა არათანხვედრა ვალდებულების შესრულებამდე აღმოაჩინეს, მაშინ მათ აღარ ევალდებათ მისი შესრულება, ხოლო თუ მხარეებმა ნების ნაკლი შენიშნეს მხოლოდ „ვალდებულების“ შესრულების შემდეგ, მაშინ ისინი ნაკლის აღმოჩენის შემდეგ უკუქცევითი ძალით აბათილებენ გარიგებას დადების მომენტიდან და ინარჩუნებენ რესტიტუციის მოთხოვნის უფლებას. ამ შემთხვევაში გარიგების ბათილობის სამართლებრივი საფუძველია ნებათა თანხვედრის არარსებობა გარიგების დადების მომენტში, რის გამოც იგულისხმება, რომ ხელშეკრულება არც დადებულა. ამდენად, შესრულებას გამოეცალა კაუზა და მხარეები უფლებამოსილნი არიან, მოითხოვონ პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა.<sup>42</sup>

## **2.5 გარიგებისა და ნების გამოვლენის ურთიერთმიმართება**

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ნების ნაკლის ამსახველ მუხლებში გამოყენებულია ორი ტერმინი: „გარიგება“ და „ნების გამოვლენა.“ საინტერესოა, რა მიმართებაა ამ ორ ტერმინს შორის და რა სამართლებრივ დატვირთვას აძლევს მათ კანონმდებელი.<sup>43</sup>

<sup>37</sup> Brox/Walker, Allgemeiner Teil des BGB, 30. Auflage, Carl Heymanns, München, 2006, 201.

<sup>38</sup> იქვე, 201-202.

<sup>39</sup> იქვე.

<sup>40</sup> Larenz/Wolf, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, München, 2004, 446.

<sup>41</sup> იქვე, 445.

<sup>42</sup> Pawlowski, Allgemeiner Teil des BGB, Heidelberg, 2003, 230-232.

<sup>43</sup> კერესელიძე, იურიდიულ ცნებათა ერთიანი სისტემის ჩამოყალიბება, ქართული სამართლის მიმოხილვა, 6/2003-4, 444.



სსკ-ის 50-ე მუხლის თანახმად: „გარიგება არის ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის შეცვლის ან შეწყვეტისაკენ.“

როგორც მუხლის ფორმულირებიდან ირკვევა, კანონმდებელი გარიგებას მიიჩნევს ნების გამოვლენის კონკრეტულ სახედ, რომელსაც სამართლებრივი მნიშვნელობის დატვირთვა აქვს იმდენად, რამდენადაც იგი მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ. გამოდის, რომ „ნების გამოვლენა“ უფრო ფართო ცნებაა და იგი კონკრეტდება ტერმინით – „გარიგება“, რომელშიც უნდა მოიაზრებოდეს მხოლოდ სამართლებრივი მნიშვნელობის ნების გამოვლენა. თუმცა მომდევნო მუხლებში კანონმდებელი ამ ორ ტერმინს ერთი დატვირთვით იყენებს და გამოდის, რომ მუხლებში, სადაც საუბარია „ნების გამოვლენაზე“, იგი მოიაზრებს ნების ისეთ გამოვლენასაც, რომელსაც სამართლებრივი დანიშნულება არ გააჩნია.<sup>44</sup>

გერმანულ სამართალში დამკვიდრებული ტერმინი „ნების გამოვლენა“ (*Willenserklärung*) მოიცავს როგორც პირის ნებას, ისე მის გამოხატვას, რაც ერთობლიობაში ქმნის ნების გამოვლენას. ტერმინი „ნების გამოვლენა“ ყოველთვის მოიაზრებს საკუთარ თავში სამართლებრივი შედეგის დადგომის სურვილს. შესაბამისად, გარიგების განმარტებისას აღნიშნული ტერმინის გამოყენება მისი დანიშნულების ხელახალი დაკონკრეტებით არამიზანშეწონილია.<sup>45</sup> რამდენად შესაძლებელია სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებში არსებობდეს ნების გამოვლენა, რომელიც მიზნად არ ისახავს სამართლებრივი შედეგის დადგომას? მით უმეტეს, თუ ვაღიარებთ, რომ ნების გამოვლენა არის სამართლებრივი ცნება.<sup>46</sup> პირი ნებას ავლენს იმისათვის, რათა გამოხატოს თავისი სურვილი კონკრეტული სამართლებრივი შედეგის დადგომისა, შესაბამისად, უნდა ვაღიაროთ, რომ, ქართული სამართლის მიხედვით, ნების გამოვლენა უთანაბრდება გარიგებას.<sup>47</sup> გარიგების განმარტებისას საუბარია ნებაზე, რომელიც მიმართულია სამართლებრივი შედეგისაკენ და არა ნების გამოვლენაზე, როგორც დამოუკიდებელ ტერმინზე. ამდენად, იგულისხმება, რომ ტერმინები: „გარიგება“ და „ნების გამოვლენა“ იდენტურ დატვირთვას ატარებენ სსკ-ში<sup>48</sup> და ნაშრომშიც ისინი ერთი მნიშვნელობით იქნება გამოყენებული.

### 3. ნაკლოვანი ნება

ნაკლოვანი ნება, იგივე ნების ფორმირების ნაკლი, სახეზეა მაშინ, როცა ნების გამოვლენამდე მისი საფუძვლის, მოტივისა და შინაარსის ჩამოყალიბების დროს პირის ნება განიცდის გარკვეულ ზემოქმედებას. შესაძლოა, პირმა საკუთარ ნებას საფუძვლად დაუდოს მცდარი წარმოდგენა გარკვეულ გარემოებებზე ან ამგვარი ზემოქმედება გამონვეული იყოს მოტყუებით თუ მუქარით. ნებისმიერ შემთხვევაში ნების არასწორი ფორმირება პირს აძლევს მისი შემდგომი შეცვლების უფლებას.<sup>49</sup>

ზემოთ უკვე იყო საუბარი ნების გამოვლენის სტადიებზე<sup>50</sup> და აღინიშნა, რომ ნების გამოხატვამდე პირს უყალიბდება ნების გამოვლენის მოტივი და იგი ეძებს მიზნის მიღწევის

<sup>44</sup> იქვე, 446.

<sup>45</sup> იქვე, 448.

<sup>46</sup> შეად. *ჭანტურია*, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბილისი, 2000, 330.

<sup>47</sup> *კერესელიძე*, იურიდიულ ცნებათა ერთიანი სისტემის ჩამოყალიბება, ქართული სამართლის მიმოხილვა 6/2003-4, 448.

<sup>48</sup> იქვე.

<sup>49</sup> *Larenz/Wolf*, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, München, 2004, 642.

<sup>50</sup> იხ. ზემოთ, 4 და შემდგომი.

საშუალებებს. ეს ორივე სტადია ასახავს ნების ფორმირების პროცესს, რომლის დროსაც დაშვებულ ხარვეზს შედეგად ნების ნაკლოვანება მოჰყვება და, შესაბამისად, ჩნდება მათი სამართლებრივი რეგულირების საჭიროებაც.

ნაკლოვანი ნების საკითხის რეგულირებისას აქტუალური ხდება ნების კეთილსინდისიერი მიმღების ინტერესებისა და სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის დაცვის საკითხები. მნიშვნელოვანია ამ სიკეთებისა და ნების გამომვლენის ინტერესებს შორის თანაფარდობის დაცვა.<sup>51</sup> ამდენად, კოდექსი სამართლებრივად მნიშვნელოვან და უმნიშვნელო ნაკლის გასამიჯნად იყენებს არსებითობის კრიტერიუმს.<sup>52</sup>

ნების გამოვლენის პირველ კომპონენტს, ანუ მოტივს, სამართლებრივი მნიშვნელობა, როგორც წესი, არ ენიჭება. არსებითია მხოლოდ გამოვლენილი ნება, რომელიც აღქმადი და იურიდიული ძალის მქონეა, ნამდვილობის თეორიიდან გამომდინარე. ამ წესიდან გამონაკლისია ორი შემთხვევა: ერთი, როცა მოტივს იმდენად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ნების ფორმირების დროს, რომ იგი გარდაიქმნება ნების შინაარსის შემადგენელ ნაწილად და, მეორე, როცა მოტივის ნაკლი გამოწვეულია ნების თავისუფლების პრინციპის დარღვევით მოტყუებისა და იძულების შემთხვევაში. ეს უკანასკნელი, თავისებურების გამო, ცალკე იქნება განხილული.<sup>53</sup>

ნების გამოვლენის მეორე კომპონენტის, ანუ მიზნის მიღწევის საშუალების შერჩევას არსებული ხარვეზის შემთხვევაში კანონი ნების გამომვლენს მაშინ სთავაზობს დაცვის გარანტიებს, როცა ნაკლი არსებითია, ანუ ივარაუდება, რომ ამ ხარვეზის არსებობის გარეშე პირი ნებას არ გამოავლენდა, ან გამოავლენდა სხვა შინაარსით.<sup>54</sup> ნების ნაკლის ამ ჯგუფს მიეკუთვნება შეცდომა გარიგების შინაარსში და შეცდომა მოტყუების ზემოქმედებით, როგორც შინაარსში შეცდომის კერძო შემთხვევა.

### 3.1 შეცდომა ნების შინაარსში

შეცდომა ნების შინაარსში მაშინაა, როცა ნების გამომვლენს არასწორი წარმოდგენა აქვს ნების შინაარსზე, რის შედეგადაც იგი ნების მიმღებისაგან განსხვავებულ მნიშვნელობას ანიჭებს მას.<sup>55</sup> მხარეს სუბიექტურად მცდარი წარმოდგენა უნდა ჰქონდეს ობიექტურად გამოვლენილი ნების შინაარსზე, მის მნიშვნელობაზე.<sup>56</sup>

შეცდომის საფუძველზე შეცილება დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ შეცდომა იყო როგორც სუბიექტურად (*subjektiv erheblich*), ისე ობიექტურად (*objektiv erheblich*) მნიშვნელოვანი. ერთი მხრივ, უნდა დადგინდეს, რომ პირი მსგავსი შინაარსის ნებას არ გამოავლენდა გარემოებათა სწორად აღქმის შემთხვევაში; მეორე მხრივ კი, ობიექტურად მისი ნება სხვა მნიშვნელობით უნდა აღიქმებოდეს გონიერი დამკვირვებლის მიერ.<sup>57</sup>

სსკ-ის 73-ე მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, არსებით შეცდომად ითვლება, როცა „პირი ცდება იმ გარიგების შინაარსში, რომლის დადებაც მას სურდა.“ აღნიშნული ნორმა გსკ-ის

<sup>51</sup> *Larenz/Wolf*, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, München, 2004, 654.

<sup>52</sup> *Kereselidze*, Der Allgemeine Teil des Georgischen Zivilgesetzbuches von 1997, Eine rechtsvergleichende Untersuchung, Peter Lang, Frankfurt am Main u.a., 2005, 246-247.

<sup>53</sup> *Larenz/Wolf*, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, München, 2004, 654.

<sup>54</sup> *Kereselidze*, Der Allgemeine Teil des Georgischen Zivilgesetzbuches von 1997, Frankfurt am Main, 2005, 247-248.

<sup>55</sup> *Larenz/Wolf*, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, München, 2004, 656-657, შემდგომი მითითებით: MunchKomm/Kramer, § 119, Rn. 44; Ak/Hart, § 119, Rn. 9; *Staudinger/Dilcher*, § 119, Rn. 26.

<sup>56</sup> *Alpmann Brockhaus Fachlexikon Recht*, 2005 [Inhaltsirrtum].

<sup>57</sup> *Larenz/Wolf*, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, München, 2004, 659, შემდგომი მითითებით: BAG NWJ 1991, 2726; MunchKomm/Kramer, § 119, Rn. 126; *Staudinger/Dilcher*, § 119, Rn. 73.

119-ე პარაგრაფის პირველი ნაწილის მსგავსია და მასში ასახულია ნების შინაარსში შეცდომის ზოგადი ფორმულირება.<sup>58</sup>

ცნება „გარიგების შინაარსი“ მეტად ზოგადი და ფართო მნიშვნელობის ტერმინია და საჭიროა დადგენა, თუ რას გულისხმობს იგი.

გერმანული სამართლის მიხედვით, ნების შინაარსში შეცდომად მოიაზრება ნებისმიერი სამართლებრივი მნიშვნელობის ფაქტის აღქმა შეცდომით. ეს ტერმინი მოიცავს შეცდომას გარიგების ტიპში (მაგალითად, როცა პირი საავადმყოფოში გამოთქვამს მთავარი ექიმისაგან მომსახურების სურვილს, რითაც იგი დებს „კერძო პაციენტის“ გარიგებას მთავარ ექიმთან, რეალურად კი მას ჯანმრთელობის დაზღვევა სურდა), შეცდომა გარიგების ობიექტში (მაგალითად, სალათის სახელის შეშლის გამო ხორცის მაგივრად ყველის ასორტის შეკვეთა), შეცდომა პიროვნებაში (ტელეფონების წიგნში არის ორი მხატვარი ერთი სახელით, პირს ჰგონია, რომ ცნობილ მხატვარს ესაუბრება).<sup>59</sup>

ამავე ცნებაში შედის ასევე ე.წ. იდენტურობის შეცდომა (*Identitätsirrtum*), რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს შეცდომას გარიგების საგანში (*Geschäftsgegenstandes, error in objecto*), შეცდომას კონტრაპტენტი (*Geschäftspartners, error in persona*), გარიგების სამართლებრივ ბუნებაში (*Rechtsnatur des Geschäfts, error in negotio*); ასევე შინაარსის შეცდომის განსაკუთრებული სახეა შეცდომა სამართლებრივ შედეგში (*Rechtsfolgenirrtum*).<sup>60</sup>

ზემოთ მოყვანილი მსჯელობიდან გამომდინარე, ნათელია, თუ რამდენად ფართო მნიშვნელობას ატარებს გერმანულ სამართალში ტერმინი „შეცდომა შინაარსში“. ამით უნდა აიხსნას ის, რომ აღნიშნული ნების ნაკლის სამართლებრივი რეგულირებისათვის გსკ-ში საკმარისი აღმოჩნდა ერთი მუხლის არსებობა, განსხვავებით საქართველოს სამოქალაქო კოდექსისაგან, რომელშიც რამდენიმე მუხლი აქვს დათმობილი სხვადასხვა სახის შეცდომის მონესრიგებას.

გსკ-ის 119-ე პარაგრაფი იყოფა ორ ნაწილად, რომელთაგან პირველი არეგულირებს შეცდომას ნების შინაარსში ზოგადად, მეორე ნაწილი კი აზუსტებს, რომ შეცდომა პიროვნების ან საგნის თვისებებში ასევე არის შეცდომა შინაარსში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, ვინაიდან შეცდომას შინაარსში იწვევს პირის მცდარი წარმოდგენა ამა თუ იმ გარემოებაზე, გარიგების საცილობის აუცილებელი პირობაა, მხარეს მასზე გარკვეული წარმოდგენა მაინც ჰქონდეს შექმნილი. მაგალითად, არასათანადო დოკუმენტზე ხელის მოწერა მხოლოდ იმ შემთხვევაში განიხილება შეცდომად, თუ მხარე გაეცნო მის შინაარსს, ან დაახლოებითი წარმოდგენა მაინც ჰქონდა მასზე. იმ შემთხვევაში, თუ მხარე არ დაინტერესდა დოკუმენტის შინაარსით და მაინც მოაწერა ხელი მას, მოგვიანებით ის ვერ გახდის გარიგებას საცილოს შინაარსის შეცდომის გამო, ვინაიდან მას არავითარი წარმოდგენა არ შეუქმნია გარიგების შინაარსზე და, შესაბამისად, ვერც შეცდებოდა მასში.<sup>61</sup>

<sup>58</sup> Kereselidze, Der Allgemeine Teil des Georgischen Zivilgesetzbuches von 1997, Frankfurt am Main, 2005, 250.

<sup>59</sup> Larenz/Wolf, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, München, 2004, 657.

<sup>60</sup> Alpmann Brockhaus Fachlexikon Recht, 2005 [Inhaltsirrtum].

<sup>61</sup> Larenz/Wolf, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, München, 2004, 660, შემდგომი მითითებით: Kramer, MunchKomm, § 119, Rn. 39; Palandt/Heinrich, § 119, Rn. 9; Soergel/Hefermehl, § 119, Rn. 12.

### 3.2 შეცდომა მოტივში

სსკ-ის 76-ე მუხლი არეგულირებს შეცდომას მოტივში. ზოგადი პრინციპის საფუძველზე მოტივს სამართლებრივი დატვირთვა არ აქვს. ნამდვილობის თეორიის საფუძველზე ნება ნამდვილია მისი გამოხატვის (გამოვლენის) შემდეგ, ამდენად, ის, რასაც მხარე საფუძველად უდებს თავის ნებას, მაგრამ არ გამოხატავს მას, ვერ შეიძენს იურიდიულ ძალას.

სსკ-ის 76-ე მუხლში დაკონკრეტებულია, რომ გარიგების მოტივში შეცდომა არსებითად ჩაითვლება იმ შემთხვევაში, როცა მოტივი შეთანხმების საგანია.

აღნიშნული მუხლის გაანალიზებისათვის საჭიროა ტერმინის – „შეთანხმების საგანი“ – განმარტება. შეთანხმების საგანი უნდა იყოს ნების გამოვლენის შინაარსი.<sup>62</sup> შეთანხმება მიიღწევა მხარეთა ურთიერთმფარავი ნების საფუძველზე, აქედან გამომდინარე, ივარაუდება, რომ შეთანხმების საგანი შეიძლება იყოს მხოლოდ ის მოტივი, რომელიც მხარეებმა ჩართეს თავიანთ ნებაში, გამოავლინეს და, შესაბამისად, აქციეს ნების გამოვლენის შინაარსის ნაწილად.<sup>63</sup>

მხარის მოტივი აღქმადი რომ გახდეს ნების მიმღებისათვის, არსებობს ორი საშუალება: მხარემ ნების გამოვლენის დროს უნდა გაამახვილოს ყურადღება თავისი მოტივის არსებობაზე, და/ან თვისება უნდა იყოს სამოქალაქო ბრუნვისათვის არსებითი, შესაბამისად, კეთილსინდისიერი ნების მიმღები უნდა აცნობიერებდეს მხარის მოტივს ნების გამოვლენისას. მოტივი გაცნობიერებადი ხდება საგნის ღირებულებიდან გამომდინარე, იგულისხმება, რომ, რადგან მხარე ნივთში იხდის შედარებით დიდ საფასურს, მას ამოძრავებს განსაკუთრებული მოტივი. კეთილსინდისიერი ნების მიმღები უნდა მიხვდეს, რომ მხარე უსაფუძველოდ ამას არ იზამდა.

მაგალითად, თუ პირი 100 000-ს იხდის ნახატში იმ მოტივით, რომ იგი ვან გოგის შედევრია, სინამდვილეში კი ნახატი მხოლოდ მისი რეპროდუქციაა და გაცილებით ნაკლებად ფასობს ბაზარზე, გონიერი გამყიდველი უნდა მიხვდეს, თუ რა მოტივი ამოძრავებს მხარეს გარიგების დადებისას.

როგორც უკვე აღინიშნა, სსკ-ის 76-ე მუხლი ხაზს უსვამს მხოლოდ შეთანხმების მომენტს, ამდენად, გასარკვევია, თუ რამდენად ფარავს შეთანხმების მომენტი იმ შემთხვევას, როდესაც მოტივი მხარეთა შორის შეთანხმებული არ ყოფილა, მაგრამ იგი სამოქალაქო ბრუნვის თვალსაზრისით არსებითია.<sup>64</sup>

თუნდაც ვან გოგის ტილოს მაგალითიდან ჩანს, რომ მხარე არ ათანხმებს თავის მოტივს, ვან გოგის ნახატის ორიგინალის შექმნის სურვილს, თუმცა, ვინაიდან ორიგინალი გაცილებით დიდი ღირებულებისაა,<sup>65</sup> ვიდრე მისი რეპროდუქცია, რაც სამოქალაქო ბრუნვიდან დადგენილი ფაქტია და შემძენი იხდის ამ ფასს, კეთილსინდისიერი და გონიერი გამყიდველისათვის ცხადი უნდა გახდეს ნების გამოვლენის მოტივი და შესაძლებელია იმის ვარაუდი, რომ ამ დროს მხარეები კონკლუდენტურად თანხმდებიან ნივთის თვისებაზე. ამ მსჯელობიდან გამომდინარე, შესაძლებელია, სამოქალაქო ბრუნვის თვალსაზრისით არსებითად მიჩნეული მოტივი გაუთანაბრდეს მხარეთა მიერ შეთანხმებულს.

გერმანული სამართლის მიდგომის თანახმად, თვისებებში შეცდომა გარიგების მოტივში შეცდომაა. მაგალითად, პირმა შეიძინა მინა, რადგან თვლიდა, რომ ის იყო არასასოფლო-

<sup>62</sup> Brox/Walker, Allgemeiner Teil des BGB, München, 2006, 214/395.

<sup>63</sup> Kereselidze, Der Allgemeine Teil des Georgischen Zivilgesetzbuches von 1997, Frankfurt am Main, 2005, 254, შემდგომი მითითებით.

<sup>64</sup> Larenz/Wolf, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, München, 2004, 660; § 119 Abs. 2 BGB.

<sup>65</sup> Brox/Walker, Allgemeiner Teil des BGB, München, 2006, 214.

სამეურნეო დანიშნულებისა, ან დამსაქმებელმა აიყვანა სამუშაოზე პირი იმის გამო, რომ იგი ბევრით ეგონა და ა.შ. თუ ამგვარ გარემოებებს არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა ნების გამოვლენის დროს, მაშინ ისინი არ მიიღებიან მხედველობაში. იმ შემთხვევაში, თუ გარიგების დადების დროს მხარეს ხაზი არ გაუსვამს აღნიშნული გარემოებისათვის, იგულისხმება, რომ მისთვის შეცდომა არსებითი არ ყოფილა.<sup>66</sup>

სსკ-ის 74-ე მუხლი აწესრიგებს მოტივში შეცდომის იმ გამონაკლის სახეს, რომელიც ნების გამომვლენს აძლევს შეცილების უფლებას. შეცდომა მოტივში უნდა ატარებდეს იმდენად არსებით ხასიათს, რომ ინვესტის შეცდომას გარიგების შინაარსში, რაც შემდგომ ხდება საცილოობის საფუძველი.

გსკ-ში შეცდომის ეს სახე გამოყოფილია შინაარსში შეცდომის ზოგადი ცნებიდან. როგორც ზემოთ აღინიშნა, შინაარსში შეცდომის არსებითი ხასიათი დამოკიდებულია მხარის სუბიექტურ აღქმაზე, ამ უკანასკნელისაგან განსხვავებით, გარიგების საგნის თვისების ნაკლი ფასდება არა სუბიექტური, არამედ სამოქალაქო ბრუნვის საზომებით. გარიგების მონაწილის შეცდომა მოტივში მხოლოდ მაშინ ხდის გარიგებას საცილოს, როცა სამოქალაქო ბრუნვის თვალსაზრისით შეცდომა არსებითი ხასიათისაა.<sup>67</sup>

სსკ-ის 74-ე მუხლის ფორმულირება ასეთია: „1. შეცდომა კონტრაჰენტის პიროვნების მიმართ მხოლოდ მაშინ ითვლება არსებითად, როდესაც თვითონ კონტრაჰენტის პიროვნება ან მისი პირადი თვისებების გათვალისწინება გარიგების დადების მთავარი საფუძველია. 2. შეცდომა საგნის ძირითად თვისებებში მხოლოდ მაშინ ჩაითვლება არსებითად, თუ მათ მნიშვნელობა აქვთ საგნის ღირებულების განსაზღვრისათვის.“

მუხლის პირველი ნაწილის ფორმულირებიდან ნათლად არ ჩანს, თუ რა საზომით განისაზღვრება პიროვნებისა და მისი თვისებების არსებითობა, ვისთვის უნდა იყოს იგი გარიგების დადების საფუძველი – თავად ნების გამომვლენისათვის თუ ობიექტური მესამე პირისათვის? მეცნიერთა აზრით, ამ მუხლში შეფასების კრიტერიუმია არა მხარის სუბიექტური დამოკიდებულება კონტრაჰენტის პიროვნების ან საგნის თვისებებისადმი, არამედ ობიექტური დამკვირვებლის შეფასება.<sup>68</sup> აქედან გამომდინარეობს სსკ-ის 74-ე მუხლის მსგავსება გსკ-ის 119-ე პარაგრაფის მეორე ნაწილთან.

ამავე მუხლის მეორე პუნქტში საუბარია შეცდომაზე საგნის ძირითად თვისებებში. საინტერესოა, თუ რას მოიაზრებს კანონმდებელი „საგანში“. მასში უნდა მოიაზრებოდეს როგორც მატერიალური, ისე არამატერიალური სიკეთე და უფლება.<sup>69</sup>

გერმანული მიდგომის მიხედვით, საგნის თვისებაში შეცდომაზე საუბრისას ყურადღება ექცევა მისი ღირებულების განმსაზღვრელ ფაქტორებს – ხარისხს ან სხვა ბუნებრივ თუ სამართლებრივ მახასიათებელს. თავისთავად ფასი თვისების საზომად არ გამოდგება, ვინაიდან იგი არის მისი მახასიათებელი.<sup>70</sup>

გერმანული სამართლის მიხედვით, შეცდომას შინაარსში მიეკუთვნება ასევე შემთხვევა, როცა პირს არ სურს სამართლებრივი შინაარსის ნების გამოვლენა, მაგრამ გარემოებათა დამთხვევით ის ავლენს მას. ამ დროს მხარეს არ აქვს გამოვლენის ნება. მაგალითად შემთხვევა, როცა პირი აუქციონზე მეგობარს მიესალმება ხელის აწევით და ამ დროს გამოავლენს აუქციონზე ნივთის შეძენის ნებას.<sup>71</sup>

<sup>66</sup> Larenz/Wolf, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, München, 2004, 661.

<sup>67</sup> იქვე, 673.

<sup>68</sup> ზოიდე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, თბილისი, 2002, 228.

<sup>69</sup> Kereselidze, Der Allgemeine Teil des Georgischen Zivilgesetzbuches von 1997, Frankfurt am Main, 2005, 253-254.

<sup>70</sup> Brox/Walker, Allgemeiner Teil des BGB, München, 2006, 214.

<sup>71</sup> იქვე, 671.

სსკ ცალკე არეგულირებს შეცდომას უფლებაში. სავარაუდოდ, აღნიშნული მუხლი სსკ-ში იტალიის კოდექსიდან უნდა იყოს გადმოღებული.<sup>72</sup>

გერმანულ სამართალში შეცდომა უფლებაში (იგივე შეცდომა სამართლებრივ შედეგში) განმარტებულია როგორც ნების გამომვლენის მცდარი წარმოდგენა მისი ნების გამომვლენის სამართლებრივ შედეგზე. იმ შემთხვევაში, როცა პირი ცდება ნორმის შინაარსში, რომელიც არაარსებითაა ნების გამომვლენისათვის, თუმცა ნების გამომვლენმა მას დაუკავშირა თავისი ნების გამომვლენა, სახეზეა არაარსებითი შეცდომა მოტივში, ხოლო, როდესაც სამართლებრივი შედეგი უკავშირდება ნების შინაარსს, მაშინ სახეზეა შეცდომა შინაარსში.<sup>73</sup>

როგორც ჩანს, გერმანული მიდგომის შესაბამისად, შეცდომა უფლებაში მხოლოდ მოტივის დონეზე არაარსებითია. იგი, როგორც შეცდომა, სამართლებრივ მნიშვნელობას იძენს მხოლოდ გარიგების საგანში.<sup>74</sup> საგანი თავისთავად შედის გარიგების შინაარსში, ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ შეცდომა უფლებაში, ისევე როგორც შეცდომა საგანსა და კონტრაქტის პიროვნებაში, შედის მოტივში შეცდომის რეგულირების სფეროში, ეს უკანასკნელი კი თავისი შინაარსით უკავშირდება შეცდომას გარიგების შინაარსში.

### **3.3 შეცდომა გარიგების საფუძველში**

ქართულ სამართალში გარიგების საფუძველში შეცდომის რეგულირება შემოღებულია არა გერმანიიდან, არამედ შვეიცარიის კოდექსიდან, რომლის 24-ე მუხლის პირველი ნაწილის მეოთხე პუნქტი სსკ-ის 73-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის მსგავსია.<sup>75</sup>

ქართულ სამართალში ამ წესის შემოღებას აქვს თავისი სამართლებრივ-ტექნიკური დატვირთვა, იგი ცვლის საწყისი შეუძლებლობის მუხლებს. იგივე დანიშნულება უნდა ჰქონდეს მას შვეიცარიის კოდექსშიც. გსკ-ის 311-ე „ა“ პარაგრაფი გარიგების ნამდვილობას არ ხდის სადავოდ იმის გამო, რომ ნების გამომვლენის დროს კრედიტორს არ შეეძლო ვალდებულების შესრულება, ამ დებულების საპირისპიროდ კი, კონტინენტური ევროპის ზოგიერთი სხვა ქვეყნის მსგავსად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მსგავს დაბრკოლებას მიიჩნევს ნების ნაკლის ერთ-ერთ სახედ და, შესაბამისად, გარიგების ნამდვილობის დამაბრკოლებელ გარემოებად.<sup>76</sup>

შვეიცარიის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, შეცდომა გარიგების საფუძველში ასევე არსებითი შეცდომის ერთ-ერთი სახეა და გაერთიანებულია ერთ მუხლში არსებითი შეცდომის დანარჩენ გარემოებებთან ერთად, თუმცა, სსკ-ისაგან განსხვავებით, მასში აღნიშნულია, რომ შეცდომა გარიგების საფუძველში არ წარმოშობს მისი შესრულების ვალდებულებას<sup>77</sup> მხარისათვის, ქართულ სამართალში კი ის საცილობის საფუძველია.

73-ე მუხლის „გ“ პუნქტი გამოირჩევა იმ თავისებურებით, რომ ორივე მხარე ცდება გარკვეულ გარემოებაში და, ამდენად, საინტერესოა, თუ რომელ მხარეს ენიჭება შეცილების უფლება.

უნდა გაირკვეს, თუ რა გარემოებებს გულისხმობს აღნიშნული მუხლი. ქართული იურიდიული მეცნიერების განმარტების თანახმად, „გარიგების საფუძველად უნდა იქნეს

<sup>72</sup> Kereselidze, Der Allgemeine Teil des Georgischen Zivilgesetzbuches von 1997, Frankfurt am Main, 2005, 254.

<sup>73</sup> Alpmann Brockhaus Fachlexikon Recht, 2005 [Rechtsfolgenirrtum].

<sup>74</sup> Kereselidze, Der Allgemeine Teil des Georgischen Zivilgesetzbuches von 1997, Frankfurt am Main, 2005, 254.

<sup>75</sup> იქვე, 250.

<sup>76</sup> იქვე, 251.

<sup>77</sup> შვეიცარიის კოდექსი, § 23, <http://www.admin.ch/ch/d/sr/c210.html>, 08.02.08.

მიჩნეული გარიგების მხარეების ერთობლივი წარმოდგენა იმ გარემოებებზე, რომელთა გამოც დებენ მხარეები გარიგებას.<sup>78</sup> შვეიცარიული მიდგომის თანახმად, ეს არასწორი წარმოდგენა, მათთვის ცნობილ ან უცნობ ობიექტურად არსებულ გარემოებაზე, უნდა ედოს საფუძვლად გარიგებას.<sup>79</sup>

კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე, მხარეები ვარაუდობენ, რომ გარიგების საფუძველი არსებობს. ეს საფუძველი შეიძლება არ არსებობდეს ნების გამოვლენის დროს, მაგრამ მომავალში ხარვეზი გამოსწორებადი იყოს. სწორედ ამიტომ უნიფიცირებული სამართლის მიდგომა იხრება უფრო შესრულების შეუძლებლობის წესებისაკენ და არა ნების ნაკლისაკენ, ვინაიდან გარიგების გაბათილება გამოსწორებადი გარემოების გამო ნაკლებ პრაქტიკულია, მაგალითად, თუ პირმა გარიგების დადების შემდეგ აღმოაჩინა, რომ არ იყო უფლებამოსილი, განეკარგა ნივთი, თუმცა მისთვის ეს უფლება მომავალში შეძენადია. მხარეთა ინტერესში შედის გარიგების ძალაში დატოვება და არა მისი გაბათილება.<sup>80</sup>

გარიგების საცილობა, და არა ბათილობა, ერთი მხრივ, ასწორებს ამ ნაკლს, ვინაიდან მხარეს შესაძლებლობა ეძლევა, დაელოდოს სიტუაციის გამოსწორებას, წინააღმდეგ შემთხვევაში კი საცილო გახადოს გარიგება. თუმცა ამ შემთხვევაში შეიძლება პრობლემა გამოიწვიოს გარიგების შეცილების ვადის შეზღუდვამ.

როგორც აღინიშნა, ქართულ სამართალში ეს შემთხვევა საცილობის საფუძველს ქმნის. ვინაიდან გარიგების საფუძველში ცდება ორივე მხარე, ამ შემთხვევაში გარემოების არცოდნა უთანაბრდება შეცდომას.<sup>81</sup>

#### 4. ნების თავისუფლების ნაკლი

მოტყუების, მუქარისა და გარემოებათა ბოროტად გამოყენების ზემოქმედებით დადებული გარიგებების დროს სამართლებრივ მნიშვნელობას იძენს ნების გამოვლენის მოტივი. პირის მოქმედებას საფუძვლად უდევს არასწორი ინფორმაცია ან გამოუვალი მდგომარეობა, რომლის ზემოქმედებითაც იგი ავლენს ნებას, თუმცა აღნიშნულ შემთხვევაში მოტივის ნაკლზე მეტად აქტუალურია ნების თავისუფლების ნაკლზე საუბარი.<sup>82</sup> ვინაიდან სამივე შემთხვევაში ნების ნაკლი დაკავშირებულია ნების გამოვლენაზე მართლსაწინააღმდეგო ზემოქმედებასთან, ირლვევა ნების თავისუფლების პრინციპი.

##### 4.1 მოტყუება

მოტყუება მოტივში შეცდომის ერთ-ერთი კერძო შემთხვევაა, რომლის თავისებურება ისაა, რომ ასეთ დროს პირი ცდება არა უნებურად, არამედ მეორე მხარის ბრალით. მოტყუებით ნებაზე ზემოქმედებისას პირი ნების თავისუფლებას უზღუდავს ნების გამოვლენის, რის გამოც ამ უკანასკნელს სამართლებრივი დაცვის მიზნით ენიჭება გარიგების შეცილების უფლება.<sup>83</sup>

სსკ-ის 81-ე მუხლის I ნაწილის ფორმულირება, გერმანიის კოდექსისაგან განსხვავებით, ყურადღებას უფრო მეტად ამახვილებს მოტყუებაზე, როგორც გასაკიცხ ქმედებაზე და არა

<sup>78</sup> ჭანტურია, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბილისი, 2000, 371.

<sup>79</sup> Kereselidze, Der Allgemeine Teil des Georgischen Zivilgesetzbuches von 1997, Frankfurt am Main, 2005, 251.

<sup>80</sup> <http://unilix.info/dynasite.cfm?dssid=2377&dsmid=13637&x=1>, 29.02.08.

<sup>81</sup> Kereselidze, Der Allgemeine Teil des Georgischen Zivilgesetzbuches von 1997, Frankfurt am Main, 2005, 252.

<sup>82</sup> Larenz/Wolf, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, München, 2004, 683.

<sup>83</sup> იქვე, 689.

მის სამართლებრივ შედეგზე.<sup>84</sup> მოტყუება საცილოობის საფუძველი ხდება იმდენად, რამდენადაც იგი ნების ნაკლის გამომწვევია პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედების გავლენით. აუცილებელია, მოტყუებასა და ნების გამოვლენას შორის არსებობდეს მიზეზშედეგობრივი კავშირი,<sup>85</sup> რაც, ერთი შეხედვით, გათვალისწინებულიცაა სსკ-ის 81-ე მუხლში.

გერმანული სამართლის თანახმად, მოტყუებით დადებული გარიგება საცილო რომ გახდეს, იგი უნდა აკმაყოფილებდეს ორ პირობას: ერთი მხრივ, უნდა არსებობდეს მიზეზშედეგობრივი კავშირი მოტყუებასა და ნების გამოვლენას შორის და მეორე მხრივ, აუცილებელია, მოტყუება ხდებოდეს განზრახ და ატარებდეს მართლსაწინააღმდეგო ხასიათს (*arglist*).<sup>86</sup>

მოტყუება შეიძლება გამოიხატოს აქტიური მოქმედებით ან მნიშვნელოვანი გარემოებების შესახებ დუმით. იგი განიმარტება როგორც ფაქტების დამახინჯებით ან არასასურველ ფაქტებზე დუმით ნების გამომვლენში შეცდომის განზრახ გამონვევა ან შენარჩუნება მის ნებაზე შემოქმედების მიზნით.<sup>87</sup>

მოტყუებაზე საუბრისას მნიშვნელოვანია გაირკვეს, აქვს თუ არა მხარეს ვალდებულება, გაამხილოს ის ფაქტები, რომელთა თაობაზეც ნების გამომვლენს კითხვა არ დაუსვამს.

გერმანულ სამართალში მხარის ამ მოთხოვნას ეწოდება „გამხელის ვალდებულება“ (*Pflicht zum Reden*). გერმანიის უზენაესი სასამართლოს განმარტების თანახმად, მხარეს აქვს შეკითხვის გარეშე ფაქტების გამხელის ვალდებულება მაშინ, როცა, კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე, იგი ვალდებული იყო, გაემხილა ეს ფაქტები და, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობის სამოქალაქო ბრუნვაში დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, მეორე მხარე მოელოდა აღნიშნული ინფორმაციის გამხელას. აქედან გამომდინარე, გამყიდველი ვალდებულია, მყიდველს გაუმხილოს ყველა ნაკლი, რაც გარიგების საგანს აქვს, გარდა იმისა, რაც მყიდველს თავადაც უნდა შეემჩნია.<sup>88</sup>

ასევე სასამართლოს გადაწყვეტილებით, სამოქალაქო ბრუნვის პრაქტიკიდან გამომდინარე, გარიგების მონაწილენი, რომელთაც ურთიერთსაპირისპირო ინტერესები აქვთ, ვალდებულნი არიან, გაუმხილონ ერთმანეთს ისეთი გარემოებებიც, რომლებმაც შესაძლოა, მხარეს დააკარგვინოს ნების გამოვლენის ინტერესი.<sup>89</sup>

რაც შეეხება არასწორი ცნობების მიწოდებას, ამ საკითხზე საუბრისას ერთმანეთისაგან უნდა გაიმიჯნოს მხარის მიერ დასმული დასაშვები (*zulässige*) და დაუშვებელი (*unzulässige*) კითხვები. დასაშვები არაა, მაგალითად, დამსაკმებლის კითხვა სამუშაოზე მისაღები კანდიდატი ქალის ფეხმძიმობის თაობაზე. ამგვარ კითხვაზე არასწორი პასუხის გაცემა, გერმანული სამართლის მიხედვით, არ ჩაითვლება მოტყუებად.<sup>90</sup> სსკ-ის 81-ე მუხლის I ნაწილის თანახმად კი, შემოადნიშნული მაინც გარიგების საცილოობის საფუძველი გახდება, ვინაიდან ფეხმძიმე ქალბატონის უარყოფითი პასუხი, მართლსაწინააღმდეგო ხასიათის არარსებობის მიუხედავად, მაინც მოტყუებად ჩაითვლება, როგორც ასეთი, და მას მიზეზშედეგობრივი კავშირი ექნება ნების გამოვლენასთან.<sup>91</sup>

<sup>84</sup> *Kereselidze*, Der Allgemeine Teil des Georgischen Zivilgesetzbuches von 1997, Frankfurt am Main, 2005, 257.

<sup>85</sup> *Larenz/Wolf*, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, München, 2004, 685.

<sup>86</sup> იქვე, 686; *Kereselidze*, Der Allgemeine Teil des Georgischen Zivilgesetzbuches von 1997, Frankfurt am Main, 2005, 257.

<sup>87</sup> *Larenz/Wolf*, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, München, 2004, 684.

<sup>88</sup> იქვე.

<sup>89</sup> იქვე.

<sup>90</sup> იქვე.

<sup>91</sup> *Kereselidze*, Der Allgemeine Teil des Georgischen Zivilgesetzbuches von 1997, Frankfurt am Main, 2005, 257.



მნიშვნელოვანია იმის გააზრება, თუ რა ღირებულებას იცავს სამოქალაქო კოდექსი მოტყუების გავლენით ნების ნაკლის რეგულირებისას და რომ ეს ღირებულებები განსხვავდება სისხლის სამართლის თაღლითობის მუხლით დაცული სიკეთისაგან. როგორც აღინიშნა, დასაცავი სიკეთე ყველა შემთხვევაში არის ნების თავისუფლება, მნიშვნელოვანია არ აქვს, თუ რა მიზანი ამოძრავებდა მომტყუებელს და, ამდენად, კოდექსში 82-ე მუხლის შინაარსის ნორმის არსებობა არამართებულია, მით უმეტეს, ფორმულირებიდან გამომდინარე, „თუ“ კავშირი მიუთითებს, რომ გარემოებებიდან ერთ-ერთი მაინც უნდა არსებობდეს, რასაც აღნიშნული მუხლების დანიშნულების არასწორ გაგებამდე მივყავართ.<sup>92</sup>

გერმანულ სამართლებრივ დოქტრინაში აღნიშნულია, რომ სისხლისსამართლებრივი მიდგომისაგან განსხვავებით, მოტყუების გამო გარიგების საცილობისათვის სულაც არაა საჭირო, ტყუილი პირს აყენებდეს მატერიალურ ზიანს, ვინაიდან აღნიშნული მუხლები იცავს არა პირის ქონებას, არამედ ნების გამოვლენის თავისუფლებას; მეორე მხრივ, არაა აუცილებელი, მხარე, რომელიც ტყუის, ამით იღებდეს მოგებას, ან ჰქონდეს მეორე მხარისათვის ზიანის მიყენების განზრახვა. არსებითია იმის გააზრება, რომ პირს ჰქონდა ნების გამოვლენზე ზემოქმედების სურვილი.<sup>93</sup>

მოტყუება შეიძლება მომდინარეობდეს მესამე პირისაგანაც. ნების მიმღების კეთილსინდისიერების შემთხვევაში მოტყუების მუხლები არ გამოიყენება, თუმცა ნების გამომვლენს შეუძლია, ნების გამოვლენა საცილო გახადოს შეცდომის საფუძველზე. მოტყუებით დადებული გარიგების შეცილება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ნების მიმღებმა იცოდა, ან უნდა სცოდნოდა ტყუილის შესახებ და აცნობიერებდა ნების გამოვლენაზე ზემოქმედების შესაძლებლობას.<sup>94</sup>

სსკ-ის 82-ე მუხლის მეორე ნაწილი გამორიცხავს გარიგების საცილობას მოტყუების საფუძველზე, თუ ორივე მხარე მოტყუებით მოქმედებდა. აღნიშნული მუხლი ორმაგად ეწინააღმდეგება ნების თავისუფლების პრინციპს და მართებულად ვერ ჩაითვლება მოსაზრება, თითქოს ორმხრივი მოტყუების დროს მხარეები აბათილებენ ურთიერთმოთხოვნის საფუძველებს.<sup>95</sup>

აღსანიშნავია, რომ მესამე პირად არ მიიჩნევა მხარის წარმომადგენელი ან შუამავალი, ვინაიდან მათ მიერ არასწორი ინფორმაციის მიწოდების შემთხვევაში ტყუილისთვის პასუხს აგებს წარმოდგენილი, მიუხედავად იმისა, ცნობილი იყო თუ არა მისთვის წარმომადგენლის მიერ ნების გამომვლენის მოტყუების ფაქტი.<sup>96</sup>

#### 4.2 იძულება

ნების ფორმირების დროს პირი უნდა იმყოფებოდეს ისეთ გარემოში, რომ თავისუფლად შეძლოს გადაწყვეტილების მიღება და ნების გამოვლენა. ამ მოთხოვნის დარღვევით გამოვლენილი ნება მისი შემდგომი შეცილების საფუძველია.

მნიშვნელოვანია იმის დადგენა, თუ რა იგულისხმება ტერმინში – „იძულება“. სამოქალაქო კოდექსი აკონკრეტებს, რომ აღნიშნულ ტერმინში მოიაზრება როგორც ძალადობა ( ფიზიკური იძულება), ისე მუქარა ( ფსიქიკური იძულება), მაშინ როცა გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 123-ე პარაგრაფში, ისევე როგორც კონტინენტური ევროპის სხვა ქვეყნების კოდექსებში,

<sup>92</sup> იქვე, 258-259.

<sup>93</sup> *Larenz/Wolf*, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, München, 2004, 684, 686.

<sup>94</sup> *Kereselidze*, Der Allgemeine Teil des Georgischen Zivilgesetzbuches von 1997, Frankfurt am Main, 2005, 259.

<sup>95</sup> იქვე, 260.

<sup>96</sup> *Larenz/Wolf*, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, München, 2004, 688.

საუბარია მხოლოდ მუქარაზე (*Drohung*),<sup>97</sup> როგორც პირის მიერ ნების გამოვლენის სტიმულირების მიზნით განხორციელებულ ფსიქიკურ ზემოქმედებაზე. სავარაუდოდ, სწორედ ამიტომ იგი გაერთიანებული ერთ პუნქტში მოტყუებასთან, ვინაიდან რეალურად ორივე, როგორც მოტყუება, ისე მუქარა, პირის ნებაზე ფსიქოლოგიურად ზემოქმედებისა და ნების თავისუფლების შეზღუდვის სხვადასხვა საშუალებაა.

ნაშრომში უკვე იყო საუბარი მოქმედების ნების ნაკლზე<sup>98</sup> და აღინიშნა, რომ იძულების შემთხვევაში სახეზეა მოქმედების ნების ნაკლი (*vis compulsive*), როცა პირი მოქმედებს შეგნებულად, თუმცა იძულებით, რაც ნების გამოვლენს აძლევს შეცდომის უფლებას. სადავოა, თუ რამდენად შეიძლება ვისაუბროთ პირის მიერ ნების გამოვლენაზე ფიზიკური იძულების ანუ ძალადობის დროს. პირზე მხოლოდ გარეგანი ზემოქმედება, მაგალითად ხელშეკრულებაზე ძალადობით ხელის მოწერა (*vis absoluta*), უნდა გამოორიცხავდეს ნების გამოვლენას.<sup>99</sup>

ქართულ სამართალში არსებული ტერმინი „ძალადობა“ კოდექსში შეტანილი უნდა იყოს იტალიის სამოქალაქო კოდექსის ზეგავლენით, რომელშიც ტერმინი *violenza* უნდა მოიაზრებდეს ფიზიკური ძალადობის ზეგავლენით პირის ნებაზე ზემოქმედებას.<sup>100</sup>

იძულების დროს სახეზეა ერთი მხარის მხრიდან მეორეზე ისეთი ფსიქიკური ზეწოლა, რომლის შედეგადაც პირი ავლენს ნებას, რომლის გამოვლენაც მას არ უნდა. ამავე დროს, მხარეს, რომელიც ზეწოლას ახდენს პირზე, შეგნებული აქვს, რომ იგი მას აყენებს ისეთ მდგომარეობაში, როცა პირმა ორი ბოროტებიდან ერთ-ერთი უნდა აირჩიოს. ეს უკანასკნელი, რადგან მოქმედებს იძულებით, ნამდვილად უნდა განიცდიდეს მის ზემოქმედებას, ანუ იძულება უნდა იყოს რეალური და არა მოჩვენებითი. იმ შემთხვევაში, თუ პირისათვის ფსიქიკური ზემოქმედება მხოლოდ მოჩვენებითი იყო, გარიგება საცილო გახდება მხოლოდ შეცდომის, და არა იძულების, საფუძველზე.<sup>101</sup>

მოტყუებისაგან განსხვავებით, იძულების საცილობისათვის მნიშვნელობა არ აქვს, თუ ვისგან მომდინარეობს იგი, ნების მიმღებისაგან თუ მესამე პირისგან, ან იცოდა თუ არა ამის შესახებ ნების მიმღებმა. ამ უკანასკნელის ნდობის ინტერესებს სამართალი არ იცავს.<sup>102</sup>

ცხადია, ყველანაირი მინიშნება პირისათვის „წამებთან“ შედეგზე არ ქმნის საცილობის საფუძველს, მხოლოდ მართლსაწინააღმდეგო იძულება ექვემდებარება საცილობას. მაგალითად, თუ კრედიტორი დაემუქრება მოვალეს სასამართლოში სარჩელის შეტანით და იძულებითი აღსრულებით, სახეზე არ იქნება მუქარა, როგორც საცილობის საფუძველი, ვინაიდან ზემომოყვანილი საშუალება კანონიერია.<sup>103</sup>

იძულების მართლსაწინააღმდეგო ხასიათის დასადაგენად გერმანულ ლიტერატურაში შემოღებულია სამი კრიტერიუმი:

ა) იძულება მართლსაწინააღმდეგოა, თუ იძულების საშუალებაა მართლსაწინააღმდეგო (მართლსაწინააღმდეგო საშუალება – *Rechtswidrigkeit des Mittels*). ასეთს მიეკუთვნება

<sup>97</sup> Kereselidze, Der Allgemeine Teil des Georgischen Zivilgesetzbuches von 1997, Frankfurt am Main, 2005, 260.

<sup>98</sup> იხ. ზემოთ, 5 და შემდგომი

<sup>99</sup> შეად. ჭანტურია, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბილისი, 2000, 379.

<sup>100</sup> Kereselidze, Der Allgemeine Teil des Georgischen Zivilgesetzbuches von 1997, Frankfurt am Main, 2005, 261.

<sup>101</sup> Larenz/Wolf, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, München, 2004, 690.

<sup>102</sup> იქვე, 691.

<sup>103</sup> ჭანტურია, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბილისი, 2000, 380.

საშუალება, რომელიც თავისთავად მართლსაწინააღმდეგოა და რომლის გამოყენებაც აკრძალულია, თუნდაც დასაშვები შედეგის მისაღწევად.<sup>104</sup>

ბ) როცა მოძალადის მიზანი მართლსაწინააღმდეგოა (*Rechtswidrigkeit des Zwecks*), ამ შემთხვევაში იგულისხმება, რომ იძულების მიზანი საშუალებისაგან დამოუკიდებლად უკვე მართლსაწინააღმდეგოა. გერმანულ მეცნიერთა აზრის თანახმად, აღნიშნულ შემთხვევაში იძულების ნორმა ნაკლებ გამოყენებადია პრაქტიკაში, ვინაიდან მართლსაწინააღმდეგო ნების გამოვლენა ბათილია მართლსაწინააღმდეგო და ამორალური გარიგების წესებიდან გამომდინარე და, ამდენად, შეცილებას აღარ საჭიროებს.<sup>105</sup>

გ) მიზნის მიღწევის საშუალება შეუსაბამოა მიზანთან (*Rechtswidrigkeit der Mittel-zweck-relation*) მაშინ, როცა ცალ-ცალკე მიზანიც და საშუალებაც მართლზომიერია, თუმცა კონკრეტულ შემთხვევაში კონკრეტული მიზნის მისაღწევად გარკვეული საშუალების გამოყენება უსამართლოა.

აღნიშნული უსამართლობა გამომდინარეობს არა პირდაპირ კანონის ნორმებიდან, არამედ არის შეფასებითი კატეგორია, კონსტიტუციიდან, ჩვეულებებიდან და პრაქტიკაში დამკვიდრებული წესებიდან გამომდინარე.<sup>106</sup>

იძულების საცილობისათვის საკმარისია მისი მართლსაწინააღმდეგო ხასიათი. არაა აუცილებელი, პირი მოქმედებდეს განზრახ ან აცნობიერებდეს მისი მოქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათს, ვინაიდან ამ მუხლით, ისევე როგორც მოტყუების შემთხვევაში, კანონი მიზნად ისახავს პირის ნების თავისუფლების დაცვას და არა მოძალადის დასჯას. გერმანიის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, მხარე შესაძლოა, შეცდომით ფიქრობდეს, რომ იძულება არ ატარებს მართლსაწინააღმდეგო ხასიათს, ამას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს საცილობაზე საუბრისას.<sup>107</sup>

### 4.3 გარემოების ბოროტად გამოყენება

სსკ-ის 55-ე მუხლში ასახული შემთხვევა ნების ნაკლის ერთ-ერთი მაგალითია. მუხლის ფორმულირებიდან ირკვევა, რომ აღნიშნული მუხლის საფუძველზე გარიგების ბათილად ცნობისათვის საჭიროა ორი გარემოების თანხვედრა: ერთი მხრივ, უნდა არსებობდეს „აშკარა შეუსაბამობა“ შესრულებასა და ანაზღაურებას შორის და, მეორე მხრივ, გარიგების დადების საფუძველი უნდა იყოს ერთი მხარის მიერ საკუთარი საბაზრო მდგომარეობით, მეორე მხარის გამოუცდელიობითა და ა.შ. ბოროტად სარგებლობა.<sup>108</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ შესრულებათა შორის სხვაობა ნების ნაკლს არ უნდა იწვევდეს, ვინაიდან თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში მხარე, ნების თავისუფლების პრინციპიდან გამომდინარე, დამოუკიდებლად წყვეტს, უღირს თუ არა ნების გამოვლენა, ხოლო ის, თუ რა თანაფარდობა იქნება შესრულებებს შორის, ეს შეთანხმების საგანია.<sup>109</sup>

რაც შეეხება მუხლში მოცემული გარემოებების (საბაზრო მდგომარეობა, გამოუცდელიობა, გულუბრყვილობა, მძიმე მდგომარეობა), და არა ძალაუფლების, ბოროტად გამოყენებას,

<sup>104</sup> Larenz/Wolf, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, München, 2004, 692.

<sup>105</sup> იქვე.

<sup>106</sup> იქვე, 693.

<sup>107</sup> იქვე, 694.

<sup>108</sup> Kereselidze, Der Allgemeine Teil des Georgischen Zivilgesetzbuches von 1997, Frankfurt am Main, 2005, 198.

<sup>109</sup> იქვე.

აღნიშნული პირდაპირაა დაკავშირებული ნების ნაკლთან, ვინაიდან ისინი ხელისშემშლელი გარემოებებია ნების თავისუფლად ჩამოყალიბებისათვის.<sup>110</sup>

გერმანულ სამართალში სსკ-ის 55-ე მუხლის მსგავსი შემადგენლობა მოცემულია გსკ-ის 138-ე პარაგრაფში, რომელიც საუბრობს ზნეობის სანინაალმდეგო გარიგებებზე. აღნიშნულ შემთხვევაში გარიგების ბათილობას იწვევს ერთი მხარის მიერ ზნეობის სანინაალმდეგო საქციელის ჩადენა, კერძოდ პირის მძიმე მდგომარეობის გამოყენება დაუმსახურებელი შემოსავლის მისაღებად. აღნიშნულიდან გამომდინარე, გარიგება ბათილდება როგორც ზნეობის სანინაალმდეგო, შესაბამისად, ამ შემთხვევაში გერმანული სამართალი ყურადღებას არ ამახვილებს ნების ნაკლზე.<sup>111</sup>

გარემოებების ბოროტად გამოყენების საფუძველზე მოქმედების პირობებში პირს აქვს მოქმედების ნება, მას სურს, საკუთარი მოქმედებით გახდეს სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე, აქვს კონკრეტული სამართლებრივი შედეგის დადგომის ნება, და ასევე სწორად ავლენს შინაგან ნებას, მაგრამ მისი ნების გამოვლენა ნაკლულია იმის გამო, რომ მას, ისევე როგორც იძულების შემთხვევაში,<sup>112</sup> არ ჰქონდა ნების თავისუფლება, ან მეორე შემთხვევაში პირი ხდება მოტყუების მსხვერპლი თავისი გულუბრყვილობის გამო. სახეზეა ნების ნაკლი, რომლის გამოსწორების შესაძლებლობაც უნდა მიეცეს მხარეს.

ცხადია, იძულება და მოტყუება თავისთავად საზოგადოებრივად გასაკიცხი ქმედებებია, თუმცა მათი ბათილობა მაინც არ ხდება ავტომატურად, ისინი დამოკიდებულია შემცილებლის ნებაზე და შემოფარგლულია გარკვეული ვადით. ამდენად, სადავოა ის, თუ რამდენად ექვემდებარება გარიგება ბათილობას, ხომ არ არის მართებული მისი მოთავსება საცილო გარიგებებს შორის, იძულების გვერდით, ისევე, როგორც ამას აკეთებს ჰოლანდიისა და შვეიცარიის კოდექსები.<sup>113</sup>

მუხლის შინაარსიდან და დანიშნულებიდან გამომდინარე, უკეთესი იქნება, თუ სსკ-ის 55-ე მუხლის სათაურში გამოყენებული ტერმინი „ძალაუფლება“ შეიცვლება ჰოლანდიის კოდექსის იმავე შინაარსის მუხლში გამოყენებული ტერმინით – „გარემოება“, ვინაიდან ეს უკანასკნელი უკეთესად ადასტურებს მუხლის შინაარსს.<sup>114</sup>

## **5. ნების ნაკლული გამოვლენა**

ნების გამოვლენის ნაკლი გულისხმობს მხარის მიერ ნამდვილი ნების არასწორად გამოვლენას, რომელიც შეიძლება განხორციელდეს ორი საფუძველით:

ერთ შემთხვევაში მხარე აცნობიერებს იმ მომენტს, რომ იგი არ ავლენს თავის ნამდვილ ნებას, თუმცა ვარაუდობს, რომ ნების გამოვლენას არ მოჰყვება ადეკვატური სამართლებრივი შედეგი; ხოლო მეორე შემთხვევაში პირი უბრალოდ ვერ აღიქვამს, ვერ აცნობიერებს განსხვავებას თავის ნამდვილ ნებასა და გამოვლენას შორის.<sup>115</sup> ამ საფუძველების მიხედვით, შესაძლებელი ხდება კოდექსში მოცემული მუხლების დაყოფა და ანალიზი.

<sup>110</sup> იქვე, 199.

<sup>111</sup> Kropholler, Bürgerliches Gesetzbuch, Studienkommentar, 8. Auflage, Beck, München, 2005, 68.

<sup>112</sup> Brox/Walker, Allgemeiner Teil des BGB, München, 2006, 239.

<sup>113</sup> Kereselidze, Der Allgemeine Teil des Georgischen Zivilgesetzbuches von 1997, Frankfurt am Main, 2005, 200.

<sup>114</sup> იქვე, 200; New Netherlands Civil Code, Patrimonial Law, P.P.C. Haanappel, Deventer, Kluwer, 1990, 26.

<sup>115</sup> Brox/Walker, Allgemeiner Teil des BGB, München, 2006, 201.

## 5.1 ნების ნაკლული გამოვლენა გაცნობიერებულად

ამ თავში განიხილება ნების გამოვლენა მოჩვენებითად და არასერიოზულად, ვინაიდან ორივე შემთხვევაში მხარეს გაცნობიერებული აქვს ის, რომ გამოვლენილი ნება არ ასახავს მის ნამდვილ ნებას, თუმცა სხვადასხვა მიზეზით იგი მაინც ავლენს ნაკლულ ნებას. მოჩვენებითი გარიგების დროს მხარე ფარავს სხვა გარიგებას, არასერიოზული ნების გამოვლენის დროს კი იმედოვნებს, რომ ეს არასერიოზულობა აღქმული იქნება მეორე მხარის მიერ.<sup>116</sup>

### 5.1.1 მოჩვენებითი – თვალთმაქცური გარიგება

სსკ-ის 56-ე მუხლის I პუნქტის მიხედვით, ბათილია გარიგება, რომელიც დადებულია იმ განზრახვის გარეშე, რომ მას შესაბამისი იურიდიული შედეგები მოჰყვეს. ამავე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ მოსაჩვენებლად დადებული გარიგებით მხარეები ფარავენ სხვა გარიგებას, გამოიყენება დაფარული გარიგების მიმართ მოქმედი წესები.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ზემოხსენებული პუნქტები ცალკე გარიგების სახელებს ატარებენ, კერძოდ, პირველ მათგანს კოდექსი მოიხსენიებს მოჩვენებითი გარიგებად, ხოლო მეორეს – თვალთმაქცურ გარიგებად. ფორმულირების შესაბამისად თუ ვიმსჯელებთ, გამოდის, რომ საუბარია გარიგების ორ სხვადასხვა სახეზე. მეცნიერებაში გამოთქმულია აზრი, რომ ეს ორი გარიგება იდენტურია და, ამდენად, ერთ სახელს უნდა ატარებდეს.<sup>117</sup>

მოჩვენებითი გარიგების თავისებურება ისაა, რომ მისი დადება მიზნად ისახავს არა ხელშეკრულების მხარის, არამედ მესამე პირის შეცდომაში შეყვანას. როგორც წესი, ასეთ პირს წარმოადგენს კრედიტორი ან საგადასახადო ორგანო.<sup>118</sup>

მოჩვენებითი გარიგების დადებისას მხარეებს გაცნობიერებული აქვთ, რომ გარიგებას რეალური შედეგი არ მოჰყვება, ანუ მათ არ აქვთ კონკრეტული სამართლებრივი შედეგის დადგომის ნება, რის გამოც მათ მიერ გამოვლენილი ნება ბათილია.<sup>119</sup>

თუმცა, მიუხედავად ნების გამოვლენის ნაკლისა, მხარეთა ნამდვილი ნება, ანუ მოჩვენებითი გარიგებით დაფარული სასურველი შედეგი, მაინც იძენს ძალას იმის გამო, რომ მათი ნება თანმხვედრია მასთან მიმართებით. ნების გამოვლენის დროს მთავარია ორი მხარის მიერ გამოვლენილ ნებათა თანხვედრა.<sup>120</sup>

აღნიშნული პრინციპის შესაბამისად, ძალას ინარჩუნებს ის გარიგება, რომელიც მხარეებს რეალურად სურდათ, რომ დაედოთ და რომლის დაფარვაც უნდოდათ მოჩვენებითი გარიგებით. ამგვარად, გასაგები ხდება, რომ სსკ-ის 56-ე მუხლი, სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნების კოდექსთა მსგავსად, ორ ნაწილად ყოფს თვალთმაქცურ გარიგებებს.<sup>121</sup>

პრაქტიკული კუთხით პრობლემას ქმნის ის მომენტი, რომ მოჩვენებითი გარიგებით დაფარული გარიგება, როგორც წესი, არ ფორმდება კანონით დადგენილი ფორმის შესაბამისად, რის გამოც იგი ბათილდება ფორმის დაუცველობის გამო სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა გარიგების ფორმა თავისუფალია.<sup>122</sup>

<sup>116</sup> იქვე, 201.

<sup>117</sup> *Kereselidze, Der Allgemeine Teil des Georgischen Zivilgesetzbuches von 1997, Frankfurt am Main, 2005, 201-203.*

<sup>118</sup> იხ. *Larenz/Wolf, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, München 2004, 647.*

<sup>119</sup> იქვე.

<sup>120</sup> იქვე.

<sup>121</sup> *Kereselidze, Der Allgemeine Teil des Georgischen Zivilgesetzbuches von 1997, Frankfurt am Main, 2005, 202.*

<sup>122</sup> იქვე, 203.

გერმანულ სამართალში, საიდანაც მოხდა ამ მუხლის რეცეფცია, აღნიშნულ ხარვეზს ასწორებს აბსტრაქციის პრინციპი და სანივთო სამართალში არსებული მუხლი, რომლის თანახმადაც, საკუთრების უფლების გადაცემის რეგისტრაცია საჯარო რეესტრში ასწორებს ფორმის ხარვეზს ნოტარიულად დამონმებული ხელშეკრულების გარეშეც. სამწუხაროდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსში მსგავსი დებულება არ მოიძებნება. სსკ-ის 183-ე მუხლის თანახმად: „უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელია გარიგების წერილობითი ფორმით დადება და შემდგომე ამ გარიგებით განსაზღვრული საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში“, ანუ მუხლი გარკვეულ გარიგებებზე ადგენს სავალდებულო ფორმას, რომლის დაუცველობაც 59-ე მუხლის I პუნქტის საფუძველზე იწვევს გარიგების ბათილობას. შესაბამისად, 56-ე მუხლის II პუნქტის თანახმად, ძალაში დატოვებული გარიგება ბათილი ხდება 59-ე მუხლით და, ამდენად, 56-ე მუხლის II ნაწილის არსებობა, სწორად, აზრს კარგავს.<sup>123</sup>

აქტუალურია ასევე მესამე პირთა კანონიერი ნდობის დაცვის საკითხი მოჩვენებით გარიგებებთან მიმართებით. როგორც წესი, მოჩვენებითი გარიგება მიზნად ისახავს მესამე პირის მოტყუებას. ბათილობის საფუძველი ცნობილია მხოლოდ მხარეთათვის, რის გამოც ნებისმიერი მესამე პირისათვის გარიგება აღქმადია როგორც ნამდვილი, ამდენად, ამგვარი გარიგება შეიძლება საფუძველად დაედოს სხვა სამართლებრივ ურთიერთობას, რომლის მონაწილეებსაც შეიძლება ზიანი მიადგეთ მოჩვენებითი გარიგების ბათილობით და, შესაბამისად, აქტუალური ხდება მესამე პირთა ინტერესების დაცვის საკითხი.<sup>124</sup>

სსკ-ის 56-ე მუხლი არ ითვალისწინებს მესამე პირთა კანონიერი ინტერესების დაცვის საშუალებებს. მსგავსი პრობლემა დგას გერმანულ სამართალშიც.<sup>125</sup>

ავსტრიის სამოქალაქო კოდექსის 916-ე პარაგრაფი მესამე პირს, რომელსაც კანონიერი ნდობა ჰქონდა მოჩვენებითი გარიგების მიმართ, სთავაზობს მისი ინტერესების დაცვის გარანტიას. ერთი მხრივ, თუკი მოჩვენებითი გარიგება მომგებიანია მესამე პირისათვის, იგი ინარჩუნებს ნამდვილობას მესამე პირთან მიმართებით, ხოლო თუკი გარიგება მესამე პირისათვის საზიანოა, მაშინ მას, უბრალოდ, რჩება ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.<sup>126</sup>

მართალია, სსკ-ის 56-ე მუხლი ამგვარ გარანტიებს პირდაპირ არ შეიცავს, მაგრამ სასამართლოს, ანალოგიის გამოყენების მეშვეობით, მაინც აქვს კეთილსინდისიერი მესამე პირის ინტერესების დაცვის ბერკეტები. კერძოდ, სსკ-ის 185-ე მუხლისა და 187-ე მუხლის I პუნქტის შესაბამისად, კეთილსინდისიერი შემძენი ხდება ნივთის მესაკუთრე მაშინაც, როცა გამსხვილებელი არ იყო ნივთის მესაკუთრე.<sup>127</sup>

მეორე მხრივ კი, თუ მოჩვენებითი გარიგების ბათილობით კეთილსინდისიერ მესამე პირს მიადგა ზიანი, იგი უფლებამოსილია, სსკ-ის 992-ე მუხლის საფუძველზე მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება. 992-ე მუხლის მოთხოვნის შესაბამისად, მოჩვენებითი გარიგება მართლსაწინააღმდეგოა, სწორედ ამიტომ აბათილებს მას კანონი და, ამავე დროს, მუხლი ითვალისწინებს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას როგორც განზრახი, ისე გაუფრთხილებელი ქმედებისათვის.<sup>128</sup>

<sup>123</sup> იქვე.

<sup>124</sup> იქვე.

<sup>125</sup> *Larenz/Wolf*, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, München, 2004, 647.

<sup>126</sup> იქვე, 649.

<sup>127</sup> *Kereselidze*, Der Allgemeine Teil des Georgischen Zivilgesetzbuches von 1997, Frankfurt am Main, 2005, 203-204.

<sup>128</sup> იქვე.

### 5.1.2 არასერიოზული ნების გამოვლენა (სერიოზულობის ნაკლი)

სსკ-ის 57-ე მუხლის პირველი პუნქტი ადგენს არასერიოზულად გამოვლენილი ნების ბათილობას, რომელიც განხორციელდა იმ ვარაუდით, რომ არასერიოზულობა შეცნობილი იქნებოდა.

მუხლის ფორმულირებიდან გამომდინარე, ნათელია, რომ საუბარია მიღებასავალდებულო ნების გამოვლენაზე, რომლის არასერიოზულობაც აღქმადი უნდა ყოფილიყო ნების მიმღებისათვის, თუმცა მეორე მხარემ იგი ასეთად ვერ აღიქვა. ცხადია, ხუმრობით ნების გამოვლენა თავისთავად უარყოფითი მოვლენა არაა და კოდექსში საუბარია ისეთი „ნარეზობის“ ხუმრობის ბათილობაზე, რომელიც მეორე მხარემ ვერ აღიქვა ხუმრობად და რამაც მას ზიანი მიაყენა.<sup>129</sup>

მუხლში ხაზგასმულია ორი მომენტი:

ა) პირი ავლენს არასერიოზულ ნებას და

ბ) მეორე მხარე ვერ აღიქვამს მას ასეთად და მოქმედებს ნამდვილი ნების არსებობის ნდობის შესაბამისად.

თავისთავად ცხადია, რომ არასერიოზულ ნების გამოვლენასთან დაკავშირებული წესების გამოყენება არ გახდება საჭირო იმ შემთხვევაში, თუ ნების მიმღები აღიქვამს მის არასერიოზულ ხასიათს. ამდენად, არამართებულია კოდექსში იმის აღნიშვნა, რომ მხარეს არ აუნაზღაურდება ნების გამოვლენით მიყენებული ზიანი, თუ მან იცოდა ნების გამოვლენის არასერიოზულობის შესახებ.<sup>130</sup>

სსკ-ის 57-ე მუხლის ფორმულირებიდან ჩანს ნების გამომვლენის სუბიექტური დამოკიდებულება ნების გამოვლენისადმი, იგი ვარაუდობს, რომ მეორე მხარისათვის აღქმადი იქნება მისი ნების არასერიოზულობა, ანუ სახეზეა გამოვლენის ნების ნაკლი (*Erklärungsbewusstsein*). ნამდვილი ნების ერთ-ერთი კომპონენტი ნაკლის მქონეა, რაც საბოლოო ჯამში ცალსახად ქმნის გარიგების ბათილობის საფუძველს.<sup>131</sup> აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ ნების აღნიშნული ნაკლის გამო გარიგება თავისთავად ბათილია, მიუხედავად იმისა, ნების მიმღები სერიოზულად აღიქვამს გამოვლენილ ნებას თუ არა.

გერმანულ ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, რომ აღნიშნული ნორმა ნების მიმღების ინტერესების დაცვის სპეციალური შემთხვევაა, რომელიც გამომდინარეობს ნამდვილობის თეორიიდან და რომლის თანახმადაც არასერიოზული ნების გამოვლენის დროს გამოვლენის ნების (*Erklärungsbewusstsein*) არსებობა-არარსებობა ფასდება ნების მიმღების პოზიციიდან.

57-ე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, ნების მიმღებს უნდა აუნაზღაურდეს ის ზიანი, რომელიც მას მიადგა იმის გამო, რომ ენდობოდა ნების გამოვლენის სერიოზულობას. ეს მოთხოვნა გამომდინარეობს ნების გამოვლენის პასუხისმგებლობის პრინციპიდან, თუმცა აღნიშნული წესი არ მოქმედებს იმ შემთხვევაში, როცა ნების სერიოზულად აღქმა გამოწვეული იყო ნების მიმღების დაუდევრობით.<sup>132</sup>

სსკ-ის 57-ე მუხლის თანახმად, არასერიოზული ნების გამოვლენა ბათილია, ანუ ბათილობა, როგორც შედეგი, დგება კანონის ძალით და არ არის დამოკიდებული მხარეთა ნებაზე.

საინტერესოა ასეთი მიდგომის მიზეზი: რა ინტერესს იცავს კანონმდებელი არასერიოზული ნების გამოვლენის ბათილობით? რატომ არ შეიძლება არასერიოზული ნება იყოს საცილო, მაშინ როცა მოტყუებით და მუქარით დადებული გარიგება იწვევს მის საცილობას?

<sup>129</sup> Pawlowski, Allgemeiner Teil des BGB, Heidelberg, 2003, 236.

<sup>130</sup> Larenz/Wolf, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, München, 2004, 646.

<sup>131</sup> იქვე, 645.

<sup>132</sup> იქვე.

ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ არასერიოზული ნების გამოვლენა ნების ნაკლული გამოვლენის ერთ-ერთი სახეა. მისი ძირითადი ნაკლი ისაა, რომ მხარეს ნების გამოვლენისას არ ჰქონია იურიდიული შინაარსის ნების გამოვლენის სურვილი, მას ეს მომენტი გაცნობიერებული აქვს და მაინც ავლენს ნებას იმ იმედით, რომ მეორე მხარე აღიქვამს მის ხუმრობას. ცხადია, იმ შემთხვევაში, თუ პირი შენიშნავს, რომ ნების მიმღებმა ვერ აღიქვა ნების გამოვლენის არასერიოზული ხასიათი, კეთილსინდისიერებისა და ნების გამომვლენის პასუხისმგებლობის პრინციპებიდან გამომდინარე,<sup>133</sup> იგი ვალდებული იქნება, ყველაფერი ილონოს, რათა ნების მიმღებს ზიანი არ მიადგეს მისი არასწორი წარმოდგენის გამო. ანუ აღნიშნულ შემთხვევაში ცდება როგორც ნების გამომვლენი, ისე მისი მიმღები. ნების გამომვლენს ჰგონია, რომ მეორე მხარემ აღიქვა მისი ხუმრობა, ნების მიმღები კი სერიოზულად აღიქვამს მას.

აღნიშნული შემთხვევა ემსგავსება შეცდომით დადებულ გარიგებას<sup>134</sup> და ივარაუდება, რომ იგი არის შეცდომის კონკრეტული სახე, რომელიც, თავისებურებიდან გამომდინარე, შესაძლებელია, მოთავსდეს ცალკე მუხლად საცილო გარიგებებში. ნების გამომვლენს უფლება უნდა ჰქონდეს, საცილო გახადოს გარიგება მას შემდეგ, რაც მისთვის ცნობილი გახდება მეორე მხარის შეცდომის შესახებ და გარიგების ბათილობის შემდეგ აანაზღაუროს მისთვის მიყენებული ზიანი იქიდან გამომდინარე, რომ კერძო ავტონომიის პრინციპის საფუძველზე ნების გამომვლენი პასუხს აგებს გამოვლენილი ნებისათვის.

## **5.2 ნების ნაკლული გამოვლენა გაუცნობიერებლად**

ნაკლული ნება გაუცნობიერებლად მაშინ ვლინდება, როცა პირი ნამდვილ შინაგან ნებას არასწორად გადმოსცემს, რის გამოც დგება ის კონკრეტული სამართლებრივი შედეგი, რომლის დადგომის ნებაც მხარეს არ ჰქონია და, მეორე მხრივ, ნების გამოვლენის დროს ვერ ხდება ნებისა და მისი გამოვლენის თანხვედრა, რაც იწვევს ნების ნაკლს და შემდგომი შეცდომის შემთხვევაში ნების გამოვლენის ბათილობას.<sup>135</sup>

მართალია, ნების გამოვლენის რისკს მისი გამომვლენი თავადვე ატარებს, მაგრამ, პირის თავისუფალი განვითარების პრინციპიდან გამომდინარე, მხარეს მაინც ენიჭება არასწორად გამოვლენილი ნების შეცდომის უფლება.<sup>136</sup>

ნაკლული ნების გამოვლენის შემთხვევებია: პირის მიერ ნების გამოვლენის დროს შეცდომის დაშვება სიტყვის წარმოთქმისას, წერისას და ა.შ. და, მეორე მხრივ, ნების არასწორი გადაცემა, კერძოდ, ნების გადამცემის შეცდომით ნამდვილი ნების დამახინჯების შემთხვევა.

გსკ-ის 119-ე პარაგრაფი ერთმანეთისაგან მკაფიოდ მიჯნავს შეცდომას ნების გამოვლენაში და შეცდომას ნების შინაარსში.<sup>137</sup>

მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო კოდექსის რეცეფცია მოხდა გერმანული სამართლიდან, კანონმდებელმა შეცდომის საკითხის რეგულირების გერმანულისაგან განსხვავებულ ტექნიკას მიმართა.

სსკ-ში შეცდომით დადებული გარიგებების თავში ერთმანეთისაგან ცალსახად არ იმიჯნება შეცდომის ზემოაღნიშნული ორი სახე, რაც ქმნის შთაბეჭდილებას, რომ კოდექსი ანესრიგებს მხოლოდ შეცდომას შინაარსში, შეცდომა ნების გამოვლენაში კი რეგულირების გარეშე

<sup>133</sup> იქვე, 646.

<sup>134</sup> Pawlowski, Allgemeiner Teil des BGB, Heidelberg, 2003, 278.

<sup>135</sup> Brox/Walker, Allgemeiner Teil des BGB, München, 2006, 201.

<sup>136</sup> Larenz/Wolf, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, München, 2004, 654.

<sup>137</sup> "Wer bei der Abgabe einer Willenserklärung über deren Inhalt im Irrtum war oder eine Erklärung dieses Inhalts überhaupt nicht abgeben wollte" (§ 119 BGB).



რჩება.<sup>138</sup> ტერმინი „შეცდომა ნების გამოვლენაში“ გამოყენებულია მხოლოდ 78-ე მუხლში, რომელშიც საუბარია ნვრილმან შეცდომებზე ნვრილობით განხორციელებულ ნების გამოვლენაში. იბადება კითხვა, რა ხდება მაშინ, როცა შეცდომა ნების გამოვლენაში არსებით ხასიათს ატარებს? არსებობს თუ არა სსკ-ში ამ საკითხთან დაკავშირებული ხარვეზი და ასწორებს თუ არა მას სსკ-ის 73-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი?

### 5.2.1 შეცდომა ნების გამოხატვაში

გერმანული დოქტრინის მიხედვით, ნების შეცდომით გამოვლენა მაშინ ხდება, როცა პირი სწორად ჩამოყალიბებული უნაკლო ნების გადმოცემის დროს უშვებს შეცდომას არასწორად გამოთქმით, არასწორად დაწერით და ა.შ.<sup>139</sup> აღნიშნული შემთხვევა გამიჯნულია შინაარსის შეცდომისაგან, ვინაიდან ამ უკანასკნელისაგან განსხვავებით, შეცდომა ხდება არა ნების ფორმირების, არამედ მხოლოდ მისი გამოხატვის ეტაპზე. შინაარსის შეცდომისაგან განსხვავებით, ნების არასწორი გამოვლენის ბათილობის საფუძველია არათანხვედრა ნებისა მის გამოვლენასთან.<sup>140</sup>

ფორმულირებით – „პირს სურდა დაედო სხვა გარიგება და არა ის, რომელზეც მან გამოთქვა თანხმობა“ – კანონმდებელი ყურადღებას ამახვილებს არა იმდენად „თანხმობის გამოთქმის“ ნაკლზე, რამდენადაც შეცდომით „სხვა გარიგების დადებაზე“, რის გამოც სასამართლო პრაქტიკაში, ისევე როგორც მეცნიერებაში, აღნიშნული პუნქტი დამკვიდრდა შეცდომად გარიგების ტიპში.<sup>141</sup>

სსკ-ის 73-ე მუხლის „ა“ პუნქტი შემოღებულია არა გერმანული, არამედ შვეიცარიული კოდექსიდან და, მიუხედავად იმისა, რომ ეს ორი მუხლი მსგავს შინაარსობრივ დატვირთვას ატარებს, ქართული თარგმანის შედეგად მიღებულმა ნორმამ სულ სხვაგვარი შინაარსობრივი დატვირთვა შეიძინა მეცნიერებასა და პრაქტიკაში.<sup>142</sup>

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში, რომელშიც საუბარია შინაარსობრივ განსხვავებაზე ნასყიდობისა და სამისდღემო რჩენის ხელშეკრულებებს შორის, დაადგინა: „...მხარეთა შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება სსკ-ის 73-ე მუხლის საფუძველზე არის არსებითი შეცდომის საფუძველზე დადებული გარიგება, რადგან მხარეებს სურდათ დაედოთ სხვა გარიგება და არა ის, რომელზედაც შეთანხმდნენ. აღნიშნული კი ამავე კოდექსის 72-ე მუხლის თანახმად, გარიგების ბათილობის საფუძველია.“<sup>143</sup>

პირი გარიგების დადებაზე გადის გარკვეულ ფსიქოლოგიურ საფეხურებს, პირველ რიგში, იგი იქმნის წარმოდგენას თავისთვის სასურველ შედეგზე, შემდეგ კი ირჩევს ნების გამოვლენის საშუალებას საკუთარი სურვილის განსახორციელებლად,<sup>144</sup> რომელიც თავის თავში უნდა მოიცავდეს ხელშეკრულების ტიპის შერჩევასაც, არა მისი სახელწოდების (*falsa demonstratio*

<sup>138</sup> Kereselidze, Der Allgemeine Teil des Georgischen Zivilgesetzbuches von 1997, Frankfurt am Main, 2005, 249-250.

<sup>139</sup> Brox/Walker, Allgemeiner Teil des BGB, Munchen, 2006, 211.

<sup>140</sup> იქვე.

<sup>141</sup> ზოიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, თბილისი, 2002, 224-225; ჭანტურია, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბილისი, 2000, 370.

<sup>142</sup> Kereselidze, Der Allgemeine Teil des Georgischen Zivilgesetzbuches von 1997, Frankfurt am Main, 2005, 249.

<sup>143</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის განჩინება, №3კ-992-02, გადაწყვეტილებაში, №2, 2004, 340.

<sup>144</sup> Pawlowski, Allgemeiner Teil des BGB, Heidelberg, 2003, 272.

*non nocet*), არამედ შინაარსის მიხედვით.<sup>145</sup> აქედან გამომდინარე, გამოდის, რომ გარიგების ტიპში შეცდომა შინაარსობრივი შეცდომის ერთ-ერთი სახეა, რომელიც არ ხასიათდება რაიმე იურიდიული მნიშვნელობის თავისებურებით და, ამდენად, მისი ცალკე გამოყოფა, მით უმეტეს, შინაარსის შეცდომის წინ (73-ე მუხლის „ბ“ პუნქტი), არამართებულია.

73-ე მუხლის „ა“ პუნქტის განმარტებისას ფორმულირება – „არა ის, რომელზედაც მან გამოთქვა თანხმობა“ – იძლევა იმის ვარაუდის შესაძლებლობას, რომ მასში საუბარია შეცდომაზე ნების გამოვლენაში.<sup>146</sup>

მე-80 მუხლში, რომელიც ეხება შეცდომას ნების გადაცემაში, კანონმდებელი ვინაიდან უთითებს 73-ე მუხლის „ა“ პუნქტზე, ივარაუდება, რომ აღნიშნულ პუნქტში დარეგულირებულია მსგავსი შემთხვევა (შეცდომა ნების გამოვლენაში უშუალოდ ნების გამოვლენის მიერ).

### 5.2.2 შეცდომა ნების გადაცემაში

ნების გადამცემის მიზეზით შეცდომა შეიძლება სახეზე იყოს იმ შემთხვევაში, როცა ნების გამოვლენი ნებას გადასცემს მესამე პირის მეშვეობით. გერმანული სამართლის მიხედვით, „შუამავალში“ მოიზრება როგორც პირი, ისე დაწესებულება – მაგალითად ტელეგრაფი და ა.შ.<sup>147</sup>

ნების გადამცემს ირჩევს ნების გამოვლენი, ის თავადვე ატარებს ნების სწორად გადაცემის რისკს, რაც, იურიდიული ტექნიკის თვალსაზრისით, მოცემულ შემთხვევაზე 73-ე მუხლის მსგავსი შედეგების გავრცელების შესაძლებლობას იძლევა.

იგულისხმება, რომ ნების გადამცემი მხოლოდ მექანიკურ სამუშაოს ასრულებს და ამიტომ პასუხისმგებლობა და შეცილების უფლება ისევ ნების გამოვლენს რჩება. მესამე პირის მიერ ნების შეცდომით გადაცემა უნდა იყოს შემთხვევითი, მასში არ უნდა ერეოდეს გადამცემის ნება, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს უკანასკნელი დაიკავებდა ნების გამოვლენის ადგილს და, შესაბამისად, რისკის მატარებელიც თავადვე გახდებოდა.<sup>148</sup>

სსკ-ის მე-80 მუხლის გამოყენებისათვის აუცილებელი პირობაა, რომ ნების გადამცემი მოქმედებდეს ნების გამოვლენის დავალებით, მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება ნების გამოვლენი შებოჭილი საკუთარი ნების გამოვლენით. ცხადია, დავალების გარეშე განხორციელებულ ნების გადაცემას არავითარი სამართლებრივი შედეგი არ მოჰყვება ნების გამოვლენისათვის.<sup>149</sup>

სსკ-ის მე-80 მუხლში საუბარია ნების არასწორად შეტყობინებაზე „შუამავლად გამოყენებული პირის მიერ“. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 120-ე პარაგრაფში საუბარია, უბრალოდ, ნების გადამცემზე, პირზე, რომელმაც ნების გამოვლენის ნება მექანიკურად უნდა გადასცეს ნების მიმღებს. ასეთი შეიძლება იყოს როგორც პირი, ისე რაიმე დაწესებულება, რომელიც შეასრულებს ამ მოქმედებას. ამდენად, უნდა აღინიშნოს, რომ სსკ-ის მე-80 მუხლში გამოყენებული ტერმინი „შუამავალი“ არასათანადოდ ასახავს ნების გადამცემის დანიშნულებას, ვინაიდან ამავე კოდექსის მეთექვსმეტე თავში იმავე ტერმინით აღნიშნულია მაკლერი ანუ პირი, რომლის საქმიანობაც მიმართულია ორ მხარეს შორის ხელშეკრულების დასადავად. ერთგვაროვანი ტერმინების დამკვიდრების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სსკ-ის მე-80 მუხლში რეალურად იგულისხმება არა უფლებითა მთელი რიგით

<sup>145</sup> *Larenz/Wolf*, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, München, 2004, 670.

<sup>146</sup> *Kereselidze*, Der Allgemeine Teil des Georgischen Zivilgesetzbuches von 1997, Frankfurt am Main, 2005, 249.

<sup>147</sup> *Larenz/Wolf*, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, München, 2004, 655.

<sup>148</sup> იქვე.

<sup>149</sup> იქვე.

აღჭურვილი მაკლერი, იგივე შუამავალი, არამედ, უბრალოდ, ნების გადამცემი და მართებული იქნება ტერმინის დაზუსტება.

## 6. დასკვნა

ნების ნაკლის რეგულირებისას სამოქალაქო კოდექსში არსებობს გარკვეული ხარვეზები, რომელთა გამოსწორება სასურველია კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში, ნების მნიშვნელობიდან გამომდინარე.

პირველ რიგში, თემაში გაანალიზდა ნების გამოვლენის შინაარსი, რომელიც მოიცავს ორ ელემენტს: ნებას და ნების გამოვლენას. ნება თავის თავში მოიცავს ნების გამოვლენის წარმოდგენაში არსებული მიზნისაკენ სწრაფვას, გამოვლენა კი ყოველთვის მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ, ანუ სამართლებრივი შედეგის დადგომისაკენ, ვინაიდან ნება, როგორც მხარისათვის სასურველი მიზნის მიღწევის ფორმულა, იურიდიულ მნიშვნელობას მხოლოდ მისი გამოვლენით იძენს.

ზემომოყვანილი მსჯელობიდან გამომდინარეობს, რომ:

სსკ-ის 50-ე მუხლში ჩამოყალიბებული გარიგების ცნების ფორმულირება ხარვეზიანია, მასში გარიგება განმარტებულია როგორც ნების გამოვლენა და კიდევ ერთხელაა დაზუსტებული, რომ ნების გამოვლენა მიმართულია სამართლებრივი შედეგის დადგომისაკენ, მაშინ, როცა ცნება „ნების გამოვლენა“ ისედაც მოიცავს თავის თავში ამ სამართლებრივ დატვირთვას. ხარვეზის გადასაჭრელად უმჯობესი იქნება სსკ-ის 50-ე მუხლიდან ფორმულირების – „რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ“ – ამოღება, რის შედეგადაც ნათელი გახდება გარიგებისა და ნების გამოვლენის ურთიერთმიმართებაც და მათი მნიშვნელობაც.

ნების გამოვლენის შინაარსის გააზრება იყო ასევე წინაპირობა ნების ნაკლის არსისა და მასთან დაკავშირებული კონკრეტული მუხლების ანალიზისათვის. ერთმანეთისაგან გაიმიჯნა ნების ფორმირების ნაკლი, ნების ნაკლული გამოხატვა (გამოვლენა) და ნების თავისუფლების ნაკლი.

ნების ნაკლის შინაარსობრივი დაჯგუფებისა და გამიჯვნის შედეგად აღმოჩნდა, რომ ზოგიერთი მუხლი არასწორადაა გაერთიანებული ამა თუ იმ თავში.

სსკ-ის 55-ე მუხლი, ისევე როგორც გსკ-ის ანალოგიური შინაარსის 138-ე პარაგრაფი, შესაბამის კოდექსებში სტრუქტურულად მოწესრიგებულია გარიგების ბათილობის დანარჩენ საფუძვლებთან ერთად. გერმანულ სამართალში 138-ე პარაგრაფის ფუნქცია არის ზნეობის სანინააღმდეგო გარიგების გაბათილება. გერმანულისაგან განსხვავებით, ქართულ სამართალში 55-ე მუხლი უნდა არეგულირებდეს გარემოებების ბოროტად გამოყენებით დადებული გარიგების საცილობას, გამოუცდელი მხარის მოტყუებისაგან დაცვის ან/და გარემოებების ბოროტად გამოყენების ზენოლისაგან მხარის ნების დაცვის მიზნით. ფორმულირებიდან გამომდინარე („გარიგება შეიძლება ბათილად ჩაითვალოს“), ნათელია, რომ 55-ე მუხლში მოწესრიგებული ნების ნაკლი განეკუთვნება საცილო, და არა ბათილ, გარიგებებს, შესაბამისად, მართებული იქნება მისი მოთავსება ნების თავისუფლების ნაკლის თავში, იძულებასა და მუქარასთან ერთად.

ნაშრომში ნების არასერიოზულად გამოვლენის მარეგულირებელი მუხლის შინაარსის შეცდომასთან მსგავსებისა და მნიშვნელობიდან გამომდინარე, დაისვა ასევე მისი საცილო გარიგებების თავში გადატანის საკითხი.

მხარეთა შინაგანი ნება ნამდვილია, თუ მხარეებს შორის მოხდა შეთანხმება. აქედან გამომდინარე, სამოქალაქო კოდექსი უნდა შეიცავდეს ნამდვილი ნების დაცვის გარანტიებს

თვალთმაქცური გარიგების შედეგის მიმართ, რისთვისაც საჭიროა ფორმალური გარიგების ძალაში დატოვებისათვის გარკვეული სამართლებრივი რეგულირების შეთავაზება. წინააღმდეგ შემთხვევაში ე.წ. თვალთმაქცური გარიგების დამატებით მოწესრიგება, ხშირად, აზრს კარგავს.

კოდექსში კითხვას ბადებს ნორმათა მთელი რიგის არსებობის საჭიროება.

73-ე მუხლი აწესრიგებს არსებითი შეცდომის სახეებს ზოგადად. სასამართლო პრაქტიკაშიც შეცდომაზე საუბრისას, როგორც წესი, მიეთითება მხოლოდ ეს ნორმა. მუხლის ზოგადი ფორმულირებებიდან გამომდინარე, უსარგებლო ხდება მომდევნო ნორმებში გარკვეული საკითხების დანვრილებითი რეგულირება. ამდენად, მართებული იქნებოდა 73-ე მუხლის პუნქტების დახვეწა, მომდევნო მუხლების კოდექსიდან ამოღება და მათში დარეგულირებული საკითხების დანვრილებით დასამუშავებლად დოქტრინისათვის მიწოდება.

73-ე მუხლში ერთმანეთისაგან უნდა იმიჯნებოდეს შეცდომის სამი სახე. უმჯობესია „ა“ პუნქტის ფორმულირება დაიხვეწოს, მისი შინაარსის სწორად აღქმის მიზნით. ხაზი უნდა გაესვას, რომ მასში საუბარია ნების არასწორ გამოხატვაზე და არა შეცდომაზე გარიგების ტიპში, როგორც იგი განმარტებულია სასამართლო პრაქტიკაში.

უმჯობესია, გსკ-ის 119-ე პარაგრაფის მსგავსად, სსკ-ის 74-ე, 75-ე და 76-ე მუხლების გამაერთიანებელი შინაარსის პუნქტი დაემატოს 73-ე მუხლის „ბ“ პუნქტს, ვინაიდან აღნიშნული მუხლები შინაარსობრივად ესადაგება ერთმანეთს.

მე-80 მუხლის მიზნებიდან და დანიშნულებიდან გამომდინარე, უმჯობესია, მასში გამოყენებული ტერმინი „შუამავალი“ შეიცვალოს ტერმინით – „ნების გადამცემი“.

მოტყუების დროს ნების ნაკლს წარმოშობს მისი გამოვლენის არასწორი წარმოდგენები გარკვეულ გარემოებებზე, რაც საბოლოოდ იწვევს შეცდომას ნების შინაარსში. მოტყუებით ასევე ირღვევა ნების თავისუფლების პრინციპი. სსკ-ის 81-ე მუხლის ფორმულირებისას უმჯობესია, ხაზი გაესვას აღნიშნული ღირებულებების დაცვის ფუნქციას და არა მომტყუებელი პირის საქციელის გასაკიცხაობას. მით უმეტეს, რომ აღნიშნული მუხლით რეგულირდება არა ყველა სახის ტყუილი, არამედ მხოლოდ ის, რომელიც მიმართულია ნების თავისუფლების წინააღმდეგ და არღვევს კეთილსინდისიერების პრინციპს.

იმავე მოსაზრებით, ამოსაღებია ასევე სსკ-ის 82-ე მუხლი, ვინაიდან იგი მოტყუებას, როგორც ნების ნაკლის დაცვის მარეგულირებელ მუხლებს, უკარგავს ფუნქციას.

81-ე მუხლის მსგავსი შენიშვნა ვრცელდება ასევე 85-ე მუხლის ფორმულირებაზეც. ამ შემთხვევაშიც უმჯობესია, ხაზი გაესვას იძულების გავლენას ნების ჩამოყალიბებაზე, ვინაიდან არაეფექტური იძულება, ანუ იძულება, რომელმაც ზემოქმედება ვერ მოახდინა მხარის ნებაზე, ცალკე აღებული, როგორც ქმედება, არ გამოიწვევს გარიგების საცილობას. მნიშვნელობა არ აქვს, თუ რა ფორმით ან რა ხერხით მოხდება იძულება, მთავარია, მან ნების ნაკლი გამოიწვიოს. ამდენად, 87-ე მუხლის არსებობა კოდექსში უსარგებლო ხდება.

86-ე მუხლი ეხება ისეთ შეფასებით საკითხებს, რომელთა დახვეწაც უმჯობესია მოხდეს თავად სასამართლო პრაქტიკითა და დოქტრინით, მისი საკანონმდებლო რეგულირება საჭირო არ უნდა იყოს.

ნება იძულების გავლენით გამოვლენილად ჩაითვლება, თუ ეს უკანასკნელი განხორციელდა მართლსაწინააღმდეგო მიზნით ან მართლსაწინააღმდეგო საშუალების გამოყენებით, ასევე შესაძლოა, არსებობდეს შეუსაბამობა ამ ორ კომპონენტს შორის. ამდენად, 88-ე მუხლში ორ წინადადებას შორის გამოყენებული „და“ კავშირი უნდა შეიცვალოს „ან/და“ კავშირით, რათა გამოირიცხოს ზემომოყვანილი ორივე გარემოების ერთდროულად არსებობის აუცილებლობა.